ნ. ეკარდანია

ლემოვლასტია

დღის ქირის მინიმუმის დაწესება, სინდიკატების მფარველობა და სხ. და სხ. აი ამ წიგნაკში გამოთქმული დედა-აზრების სახელმწიფოებრივი განხორციელება *). ეს იყო რასაკვირველია, დასაწყისი, საფუძველი, რომელზედაც შენდებოდა მორთული და მოკაზმული სახალხო ცხოვრება და რაც უცხო ძალამ შესწყვიტა. დღევანდელი თაობა არ მოსწრებია ამ დიად მუშაობას, არ განუცდია მის ირგვლივ შექმნილი ნაციონალური ენტუზიაზმი, არ იციან რანი ვიყავით გუშინ და რით ვსულდგმულობდით. ამ პატარა წიგნაკს ვუძღვნი აი ამ ახალ თაობას, ძველი, მიმავალი. თაობის გასაცნობათ, გასაგებათ და მის მიერ დაწყებული მუშაობის გასაგრძელებლათ.

12 დეკემბერი, 1932 წ.

*) იხ. საქართველოს კონსტიტუცია მუხ. 67, 68, 73, 98, 113, 115, 116, 117, 120, 123, 125 და სხ.

დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა

1. ანრიოკუნების კრიზისი.

თანამედროვე დემოკრატიის კრიზისი უდაო მოვლენაა.

გერმანიის უკანასკნელი ამბები აშკარა მაჩვენებელია ამ კრიზისის გაღრმავების, გაფართოვების და მსოფლიო მოვლენათ გადაქცევის.

ამ დიდი კულტურული ერის მიერ თავისივე ძალდაუტანებელი ნება-სურვილით დემოკრატიული წყობილების დაგმობა და 31 ივლისის და 6 ნოემბერის არჩევნებით ანტიდემოკრატიული იდეოლოგიის ხალხის უმრავლესობის იდეოლოგიათ აღიარება--ღრმა იდეიური გადატეხის გარეგანი გამოხატულებაა.

უეჭველია, რაღაც პოლიტიკური სენი შეჭრილია საზოგადოების შუაგულში, რაღაც მავნე მიკრობი ღრმათ ღრღნის ხალხის აზროვნებას, მის სულს და გულს. ამ სენისაგან არ არის დაზღვეული არც ერთი ერი, რა გინდ ის დღეს საღათ გამოიყურებოდეს. საკმარისია მის ფარგლებში ამუშავდეს იგივე მიზეზები, დაუდგეს იგივე სოციალური განცდა, რაიცა იწვევს ანტიდემოკრატიული ტალღის გაძლიერებას, რომ აქაც თავი იჩინოს ამავე სენმა და მასას ფართეთ მოედვას.

ომის წინ დასავლეთ ევროპაში არსებობდა მხოლოდ ორი დემოკრატიული სახელმწიფო—შვეიცარია და საფრანგეთი. ომის შემდეგ თითქმის მთელი ევროპა დემოკრატიის საბრძანებელი ხდება, ხალხის

სუვერენობა ყოველგან გამარჯვებული რჩება. კაცობრიობამ მოიპოვა ის, რისთვისაც ის დიდი ხანია იბრძოდა; ამით მან ვითომ მიაღწია უშიშარ ნავთსაყუდელს. ხალხთა ეს საერთო აღფრთოვანება ხანმოკლე გამოდგა; დემოკრატია ვერ ამართლებს მასზე დამყარებულ გადაჭარბებულ იმედებს. ის ვერ ერევა ვერც ეკონომიურ კრიზის. ვერც საერთაშორისო აწეწილ ურთიერთობას. არასოდეს არ ყოფილა ხალხთა მოურიგებლობა ისე გამწვავებული, როგორიც არის დღეს, დემოკრატიის მეფობაში. ძველი თქმულება—ხალხი ხალხის მტერი არ არისო, თითქოს არ მართლდება.

დემოკრატიის გაბატონება გახდა გაბატონება ეკონომიური ქაოსის და საერთაშორისო არევ-დარევის. ეს ობიექტიური მდგომარეობა მწვავეთ გადატყდა ერის შეგნებაში და ააფორიაქა მისი დამშვიდებული სულიერი არსება. დემოკრატიამ ვერ დაიპირა პირველი საქვეყნო გამოცდა, ვერ გადალახა პირველი დიდი დაბრკოლება, ვერ გამოვიდა გაპივრების ტალკვესათ. ვერ გასცა შესაფერი პასუხი ისტორიის ახალ ამოცანებს. ხალხი დაიბნა, ვის მიმართოს, საით ეძიოს გამოსავალი, რა აზროვნება შეითვისოს. იწყება ყველა ღირებულების გადაფასება. ყველა ძველი სულიერი ძაფების რღვევა და ახალის ძიება. დგება საერთო კულტურული კრიზისი ყველა სფეროში, ნგრევა ყველა ტრადიციების, უდაოთ მიჩნეული აზრების და გადმოცემების, რაიცა განსაკუთრებულ მწვავეთ თავს იჩენს პოლიტიკაში. ძველი სულიერი წონასწორობა დარღვეულია, ახალი არ შექმნილა, ვიმყოფებით კრიზისში, ე. ი. გარდამავალ ხანაში; საზოგადოების დაშლილი შემაერთებელი სიმები არ შეცვლილა ახალი კავშირებით. აზროვნება ამ ჟამათ ამ კავშირების ძიებაშია.

ერთი ძირითადი საკითხი. რაიცა უკვე გადაჭრილი გვეგონა, ისევ დაისვა გადასაჭრელათ. ვინ მართავს, საიდან მოდის ძალაუფლება, ვინ ბრძანებ-

ლობს—ეს საკითხები დადგა აზროვნების ცენტრში და მათ გარეშემო გაჩაღდა პოლიტიკური ბრძოლა. გამოირკვა ერთი ძველის ძველი დებულების სრული დამარცხება და მისი აზროვნებისაგან განდევნა. დღეს აღარავის სწამს ძალაუფლების მოვლინება ზეციდან, ზეციდან თუ მირონცხებული პიროვნებისაგან. ეს მონარქიული ტრადიცია გაქრა. ახლა ამ საპირო ავტორიტეტს ეძებენ დაბლა, თვით ხალხში, ეძებენ სხვადასხვა გზით და ფორმით. ამ ძიებაში ნათლათ სჩანან ძველი ტრადიციის მოტრფიალენი, ძველი მონარქიული მედროშენი, რომელნიც ცდილობენ წაქცეული ავტორიტეტების აღდგენას ახალი საშუალებით, ხალხის დაბმარებით, ხალხის სანკციის მიღებით. მუსოლინი, ჰიტლერი, ფონ-პაპენი—ყველა ხალხს მიმართავენ ძალაუფლებისათვის. ყველა უსურპატორი დღეს ხალხის სახელით ბრძანებლობს.

ხალხის ასე უდაო ავტორიტეტათ გამოცხადება უეჭველია დიდი გამარჯვებაა ძირითადი დემოკრატიული პრინციპის. მაგრამ ხდება ერთი იშვიათი მოვლენა, ეს პრინციპი ვერ პოულობს შესაფერ პოლიტიკურ ჩარჩოს და მიიმართება თავის თავის წინააღმდეგ, მტერთა სასარგებლოთ. ეს აზვირთებული მასები დემოკრატიამ ვერ ჩაიტია თავის კალაპოტში, ვერ მოუყარა თავი. ვერ უწინამძღვრა, ვერ ააცილა ეკლიან გზებს. ხალხი ეძებს გამოსავალს დემოკრატიის გარეშე. ხალხი უჯანყდება დემოკრატიას გაჭირების დროს, მას ემორჩილება და მისდევს დალხინებაში: გამოდის რომ დემოკრატია ჩინებულია ნორმალურ მდგომარეობაში, კლასთა ბრძოლის ჩვეულებრივ. უმტკივნეულოთ მიმდინარეობის ხანაში. მაგრამ როგორც კი ეს მდგომარეობა ირყევა, ბრძოლა მწვავდება, სოციალური რეჟიმის საკითხი დგება. აი ამ დიადი განცდის დროს დემოკრატია აღარ სჩანს თავის პოსტზე, თავს ვერ ართმევს გართულებულ ცხოვრებას და ხალხის ფართე წრეებს მტერთა ბანაკისაკენ მიერეკება.

თვით დემოკრატიის ლაშქარში თავის პოსტის მიტოვება ხდება პირველ ყოვლისა მისი ბურჟუაზიული გუნდის მიერ. და ეს არც გასაკვირალია, არც მოულოდნელი. ბურჟუაზიისათვის დემოკრატია მუდამ იყო და არის თავზე მოხვეული წყობილება, ისტორიული აუცილებლობა, რასაც ის ძალაუნებურათ ურიგდება. ხალხის სუვერენიტეტი არ არის მისი კლასიური დოქტრინა, და მას მუდამ ებრძოდა. დამარცხებულმა სახე იბრუნა და შეეცადა გამარჯვებული პრინციპის თავის ბატონობის იარაღათ გამოსაყენებლათ. მაშასადამე, მისგან ყოველთვის, პოლიტიკური გადატეხის და გაჭირების დროს, მოსალოდნელია უკან დახევა, ახალი გარემოებით სარგებლობა თავისი პოლიტიკური იდეოლოგიის გასამარჯვებლათ, ხალხის სუვერენობის მაგიერ თავისი სუვერენობის აღსადგენათ.

ბურჟუაზიის ამ უკან დახევაში მოხდა ერთი საოცარი ამბავი, დაქანებულმა ტალღამ გაიტაცა ნამდვილი დემოკრატიული წრეებიც, გაიყოლა მასები, ხოლო თავის პოსტზე დარჩენილთა შორის შეიტანა იდეური რყევა, უილაჯობა, უენერგიობა, ერთი ადგილის ბეკნა.

დემოკრატიის რიგები ერთი მეორეზე აიშალა— ბურჟუაზიას მიყვა მის უკან მდგომი წვრილი ბურჟუაზია, უკანასკნელს—პროლეტარიატი. შეირყა რა ასე ფართოთ და ღრმათ მთელი ფრონტი, ღია კარებში შემოგრიალდა ანტიდემოკრატიული ტალღები სხვა და სხვა ფერის და ღირსების მთელი თავისი იდეიური მსოფლმხედველობით და პოლიტიკური ლოზუნგებით. ბურჟუაზიული დემოკრატია მომხთურთა წინაშე იარაღს ყრის, სახალხო დემოკრატია შეშინდა. დანაწილდა და ბრძოლის უნარი შეუსუსტდა. მიჩვეული ბრძოლას და შეტევას კლასიური მტრის წინააღმდეგ, ის იბნევა თავისივე კლასიური მასის შემოტევის წინაშე და არ იცის რით და როგორ მას დაუპირდაპირდეს. იდეიური კრიზისი ხდება პოლიტი-

კურ კრიზისათ, რის დასაფარავათ და გასამართლებლათ ითხზება ახალ-ახალი თეორიები.

კრიზისია, მაშასადამე. არა ბურჟუაზიის აზროვნებაში, არამედ სახალხო დემოკრატიის მსოფლმხედველობაში. ეს კრიზისი ნიშნავს არა უიდეობას, არამედ საკუთარი იდეოლოგიური გზიდან გადახვევას. მოპირდაპირე კლასების იდეოლოგიისაკენ გადაქანებას. განვლილი. დაძლეული იდეიური ეტაპისაკენ დაბრუნებას. ამ გზაზე დემოკრატიული აზროვნება მიადგა ერთ ძველ დებულებას და ის გაიხადა თავის სახელმძღვანელოთ. ადამიანის მოქმედების იდეიური მომენტი აღიარებულია გადამჭრელ მომენტათ პოლიტიკური შენობის ასაგებათ და დასამაგრებლათ. ლიბერალების პოლიტიკური დოქტრინა—აზრის მართველობა—გამოცხადებულია რეალურ ძალათ, სათავეთ, საიდანაც თურმე გამომდინარეობს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა. ერთი სიტყვით, შეგნება საზღვრავს მდგომარეობას და არა მდგომარეობა. რეალური ძალთა განწყობილება, შეგნებას. ამ იდეოლოგიის კლასიკური გამოხატულებაა გერმანიის ნოემბრის რევოლიუცია, როცა ყველა რეალური ძალა დემოკრატიის მტერთ შერჩა, ხოლო ცარიელი დემოკრატიული შეგნება (ვეიმარის კონსტიტუცია) ხალხს. და ჩვენ ვხედავთ დღეს ამის შედეგებს: კარგი აზრი, ჰაერში გამოკიდებული. გლახათ მარცხდება. გლახა აზრი, რეალურ ძალაზე დაყრდნობილი, კარგათ იმარჯვებს. ეგევე პოლიტიკური რაციონალიზმი მძვინვარებს დემოკრატიის მთელ მიმდინარე პოლიტიკაში, რომლის მთავარი არეოპაგია ქენევა. კაცობრიობას ათასი წელიწადი არ ულაპარაკია პოლიტიკაზე იმდენი, რამდენიც მან ამ უკანასკნელ ათ წელიწადს ილაპარაკა და ჯერ კიდევ არ გაუთავებია. შედეგი? ტვირთი ადგილიდან არ იძვრება. დემოკრატიას დღესაც ისე სჯერა საყვირით იერიხონის კედლების აღება, როგორათაც მას სჯეროდა, მარქსის მოწმო-

ბით, ამ ოთხმოცი წლის წინეთ (18 ბრიუმერი). ერთი მხრით დგას ეს კარგათ მოლაპარაკე ხალხი კეთილი სურვილებით დატვირთული, მეორე მხრით კარგათ მოსაქმე ხალხი, უფრაზოთ, უსიტყვოთ შეთქმულნი საზოგადოების უკან დასაბრუნებლათ და ახალი ფორმით ძველი შინაარსის აღსადგენათ. ისტორიამ დღეს საზოგადოებას დაუსვა ძალთა განწყობილების საკითხი, გამოსვლა არსებულ ჩიხიდან უკან დაბრუნებით თუ წინ გაქანებით. დემოკრატია მას უპასუხებს ფრაზების განწყობილებით, ყენევის თავის შექცევით, გერმანიის აკადემიური დავით, მრავალი ჩინებული რეზოლიუციებით. დემოკრატიული და სოციალისტური რადიკალიზმი ნელდება, დემაგოგიური და რეაქციონური რადიკალიზმი ძლიერდება.

დაჩიხული საზოგადოება, რომელიც გამოსავალს ვერ მიაგნებს, იღუპება. ყველა ძველი საზოგადოება ასე დაიღუპა. დღევანდელი საზოგადოებაც ეძებს გამოსავალს დღევანდელი ჩიხიდან. ამ გზაზე სოციალისტური თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ ერთი ხაზის აღება, ერთი გამოსავალის ჩვენება. ეს არის სახალხო დემოკრატიის მთლიანობის აღდგენა. მისი დაპნეული წყებების თავის მოყრა და ერთ ძლიერ ფრონტათ გადაქცევა. ეს კი შესაძლებელია საღი დემოკრატიული მსოფლმხედველობის დროშით, გახრილი დემოკრატიული ხაზის გამოსწორებით.

2. დემოკრატიის ძირითადი პრინციპები.

ხალხი სოციოლოგიური ცნებაა, დემოკრატია— პოლიტიკური.

ხალხის გადაქცევა თვითმართველ საზოგადოებათ ანუ დემოკრატიათ შესაძლებელია მხოლოდ ამ სოციოლოგიური ერთეულის ბაზაზე. მის მიუცილებელ, ბუნებრივათ ბოძებულ, გარდაუვალ სოციალურ თვისებებზე. ამ ერთეულის ცენტრალური ფიგურაა ადამიანი, მისი ინტერესები, მისი მოთხოვნილებები, მისი საარსებო საშუალებები, მისი წასული, აწმყო და მომავალი. მაშასადამე, ცხოვრების მთელი დაწყობილება, საზოგადოების მთელი ურთიერთობა უნდა ემსახურებოდეს აი ამ ადამიანს და მის მოთხოვნილებათ. მსაჯული ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის; მხოლოდ მას შეუძლია გახომოს ამ დაწყებულებათა სიავ-კარგე, მათი მიზანშეწონილობა და დანიშნულება.

რაკი ადამიანია საზომი ყველა სოციალური მოვლენის, ნივთის და იდეის, ცხადია ამით აღიარებულია ისიც, რომ ის არის თავისთავის პატრონი და ბატონი, თავის მოქმედების მომფიქრებელი, ხელმძღვანელი და გამტარებელი, თავისი კერძო თუ საერთო საქმეების ამწყობი და გამძღოლი. ეს მის არსებასან შეკავშირებული, განუყრელი თვისებაა, ეს ასე ვთქვათ, ბუნებრივი მოვლენაა.

მაშასადამე, დემოკრატიის ძირითადი პრინციპია: ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურათ თავის კერძო, საოჯახო, საქმეებში, სუვერენია კოლექტიურათ, სხვასან ერთათ, საერთო, საზოგადო საქმეებში.

ყველა ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა, რაგინდ დიდი განსხვავება იყოს მათ შორის, შეერთებულნი არიან აი ამ ძირითადი პრინციპის უარისყოფაში. ისინი არ სცნობენ ადამიანის ამ ბუნებრივ

უფლებებს და აღიარებენ აუცილებლობას ერთი ადამიანის პატრონობის და მართველობის, მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ, მეორის მიერ, არის ეს უკანასკნელი გვირგვინოსანი, ფეოდალი. ბატონი თუ რჩეული პირი თუ პირები. ყველა ეს მიმართულება შეადგენს ერთ ბანაკს, დგანან ერთ საერთო პრინციპიალურ ხაზზე და დავა აქვთ ერთმანერთს შორის მხოლოდ კონკურენციის ნიადაგზედ, ებრძვიან ერთიმეორეს მეტოქის თავიდან მოსაშორებლათ და მარტოთ თავისთავის გასაბატონებლათ.

მონის მფლობელი არ სცნობდა მონის არავითარ უფლებას. ყმის ბატონი სცნობდა ყმის ზოგ საოჯახო უფლებას. ბურჟუაზია აღიარებს პროლეტართა სუვერენობას მათ კერძო საქმეებში, უარს ყოფს მათ სუვერენობას პოლიტიკურ საქმეებში; ფაშისტი, ბოლშევიკი და მათი მიმყოლი დაჯგუფებანი აღიარებენ მხოლოდ თავის თავის ბატონობას ერზე და ერში. ერთი სიტყვით, იცვლება ბატონობის ხარისხი და ფორმა, იცვლება ბატონის ვინაობა, ხოლო არ იცვლება ბატონობა, პრინციპი სხვისი მართველობისა რჩება. ამ ხაზზე რაიმე კომპრომისი, რაიმეს დათმობა, როგორც მაგალითათ ანტიდემოკრატიული სოციალიზმის აღიარება, ნიშნავს დემოკრატიის უძველეველი პოზიციის შენგრევას, აზროვნების არევას და მოპირდაპირეთა იდეოლოგიისაკენ დაქანებას. საკმარისია ამ მოწინააღმდეგეთა ერთი დებულება იცნოთ, რომ მოხდეს იდეოლოგიის გათიშვა ადამიანისაგან, მისი საზოგადოების მაღლა დაყენება, რომლის წინაშე ხალხი ვალდებულია დაიჩოქოს, მას ემსახუროს და თავისი საარსებო ინტერესები მის სამსხვერპლოზე მიიტანოს. იდეალის ადამიანზე მაღლა დაყენება, დეე ხალხი დაიღუპოს, ოღონდ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოსო—დამახასიათებელი თვისებაა ყველა სექტის, წინასწარმეტყველის და მხსნელის. ნათქვამია, საკმარისია ეშმაკს ცალი თითი გაუწოდოთ, რომ მთლათ დაგიპყროსო. ერთი ნაბიჯის

გადადგმაც კი საკმაოა ამ «მხსნელებისაკენ» რომ სამუდამოთ მათი ტყვე გახდეთ.

ამნაირათ, პოლიტიკაში პირისპირ დგას მხოლოდ ორი ძირითადი პრინციპი, გამომდინარე ორგვარი შეხედულობისაგან კაცობრიობაზე. ამათ შორის არის გამართული საისტორიო ბრძოლა, ბრძოლა მუდმივი, შეუჩერებელი. ეს ორი ბანაკია, რომელთა შორის ხიდი ჩატეხილია. თვითეულ ბანაკში არის აზრთა სხვადასხვაობა და დავა უდაოთ მიჩნეულ ძირითადი პრინციპის პოლიტიკურათ ამუშავების და ჩამოყალიბების გარეშემო. ასეთივე დავაა დემოკრატიის ბანაკში, აქ იწყება ამათ შორის აზრთა განსხვავება.

ადამიანის თავის თავის ბატონობის აღიარება ნიშნავს მისთვის მინიჭებას თავისუფლების ამ ბატონობის ასამუშავებლათ და საქმეში გამოსაჩენათ. მაშასადამე, დემოკრატიის ძირითადი პოლიტიკური პრინციპია თავისუფლება, მოქალაქობრივი და პოლიტიკური. მაგრამ თავისუფლების ტენდენციაა შექმნას მოქალაქეთა ნივთიერი ეთანასწორობა, გააბატონოს ეკონომიურათ ერთი მეორეზე, ღარიბი გააღარიბოს, მდიდარი გაამდიდროს. ასეთ პირობაში ხალხი აღარ არის დაინტერესებული დემოკრატიის შენახვასა და დაცვაში და მისი სუვერენობა ეცემა. თავისუფლება სპობს დემოკრატიას. ცხადია, დემოკრატიის მიუცილებელი საფუძველია არა ყოველნაირი თავისუფლება, არამედ თავისუფლება განსაზღვრული, რომლის ასპარეზი იფარგლება მოქალაქის და საზოგადოების ინტერესებით. ეს საზღვარია მოქალაქეთა ეკონომიური თანასწორობა, პიროვნების ნივთიერი დამოუკიდებლობა, რომლის ჩარჩოში ადამიანი თავისუფლათ მოქმედებს. დემოკრატიის პრინციპია თავისუფლება და თანასწორობა. აქედან მძიმე პრობლემა: ამ ორი პრინციპის შეთავსება პოლიტიკაში ისე, რომ მათ ერთიმეორე არ მოსპონ და მით დემოკრატია არ დაანგრიონ. თუ თავისუფლე-

ბის ტენდენციაა თანასწორობის დანგრევა, თავის მხრით თანასწორობის ტენდენციაა თავისუფლების მოსპობა ახ მისი მინიმუმამდე დაყვანა და მთელის, საზოგადოების და მისი მართველობის, მოქალაქეზე გაბატონება. დემოკრატიის ძირითადი პრინციპი ილახება, დემოკრატია ეცემა. კერძო და საზოგადო ინტერესების შეთანხმება, მაშასადამე. არის საგანი ყველა დემოკრატიული უფლებრივი ნორმის. ეს ასე ესმოდათ ძველათ დემოკრატიის ყველა კანონმდებელთ და მის საფუძველზე აშენებდენ ხალხურ წყობილებას.

პრიმიტიული დემოკრატია, როგორც უკლასო, შინაგან სოციალურ ბრძოლას მოკლებული, ამ პრობლემას სჭრიდა თავისთავათ, ბუნებრიივათ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა წერილობით საბუთმა ასეთი დემოკრატიისა, საიდანაც ნათლათ სჩანს მისი სოციალური აგებულება. ეს საბუთია დაბადება. მოსეს ხუთი წიგნი, რომელშიაც თავმოყრილია ებრაელთა დემოკრატიის ძირითადი კანონები. ამ საზოგადოებაში ბატონობდა მაღლა ღმერთი, დაბლა ხალხი, თემებათ დაყოფილი. თემი ირჩევს თავის მეთაურთ. საკითხები წყდება თემის ყრილობაზე. სიმდიდრის მთავარი წყარო მიწა დაყოფილია თემთა შორის, თემში ოჯახთა შორის. ეს თანასწორ ადამიანთა პირველი სახელმწიფო წყობილება აგებულია შესაფერ სოციალურ კანონმდებლობაზე. ათი მცნება უკრძალავს ებრაელს «ისურვოს ცოლი მოყვასისა *) მისისა, სახლი მოყვასისა მისისა, ნუცა მიწისა მისისა, ნუცა ხარისა მისისა, ნუცა ვირისა მისისა, ნუცა ქონებისა მისისა». ღმერთი ეუბნება მოსეს: «მიწის სამუდამოთ გაყიდვა არ შეიძლება, რამეთუ მიწა ჩემია, თქვენ კი მოსულნი და დაბინავებული ხართ ჩემსას. თუ ძმა შენი გაღარიბდა და გაყიდა თავისი მიწა, მივიდეს მისი უახლოვესი ნათესავი და გამოი-

*) მოყვასი თანამემამულე, ებრაელი.

ყიდოს იგი. და თუ ასეთი ნათესავი არ აღმოჩნდა, იუბილეის წელს მიწა მუქთათ დაუბრუნდეს გამყიდველს». ხოლო ასეთი ყველას გამათანასწორებელი იუბილეი იმართებოდა 50 წელში ერთხელ. ამ კანონს ექვემდებარებოდა სოფლის შენობებიც. აკრძალული იყო ებრაელის დამონება ან დაყმობა და თუ ვალის გასასტუმრებლათ ასეთ ზომას მიმართავდა, პატრონი ვალდებული იყო მეშვიდე წელს მასან ყმათ შესული უსასყიდლოთ გაენთავისუფლებია და თან მისი ნამუშიერის ერთი ნაწილი გაეტანებია *).

ამავე სოციალურ გეზს მისდევდა კლასიკური დემოკრატია. მონტესკიო სწერს:

«ძველ რესპუბლიკათა დამაარსებელნი თანასწორათ ყოფდენ მიწას. ამით ხალხი ძლიერდებოდა და მით კარგათ მოწესრიგებული საზოგადოება დგებოდა. ეს ქმნიდა ძლიერ მხედრობასაც, ვინაიდან თვითეულ მოქალაქეს ქონდა თანასწორი ინტერესი და დიდი ინტერესიც დაეცვა სამშობლო» **). როგორც კი ასეთ საზოგადოებაში მიწის მობილიზაცია გაძლიერდებოდა და უმამულო ხალხი მრავლდებოდა, დემოკრატიის გადასარჩენათ ხდებოდა მიწის რეფორმები, დარღვეული მიწათმფლობელობის წონასწორობის აღდგენა (სოლონი, ლიკურგი და სხ.).

ამნაირათ, დემოკრატიის პოლიტიკური პრინციპია თავისუფლება, სოციალური პრინციპია— თანასწორობა; ამათ შორის გამართულია მუდმივი შუღლი და ბრძოლა. დემოკრატიაში რაც უფრო მეტი გავლენა აქვს შეძლებულთ, მით უფრო მეტია თავისუფლება და ნაკლები თანასწორობა; და პირიქით, რაც მეტი გავლენა აქვთ ღარიბ ხალხს, მით უფრო მეტია თანასწორობა და ნაკლები თავისუფლება. პირველი მდგომარეობა ქმნის გარდამავალ

---

*) მოსეს კანონები, თავი 3, 5, 14, 15; ლევითის წიგნი თავი 25.

**) «რომაელთა აღორძინება და დაცემა».

საფეხურს ოლიგარხიისაკენ, მონარქიისაკენ და სხ., მეორე კი ტირანიისაკენ: ყველა ტირანი ხალხისაგან გამოვიდა, დემაგოგიით გაბატონდა. ორივე ამ მდგომარეობას გზას უჭრის თავისუფლების და თანასწორობის შეხამებულათ შეთავსება და მკვიდრი პოლიტიკური წესებით დამაგრება. ამ წესების შემუშავება და შენახვა შეუძლია მხოლოდ დემოკრატიას. ე. ი. დემოკრატიის არსებობა მათი არსებობის წინასწარი პირობაა. ჯერ დემოკრატია, შემდეგ თავისუფლება და თანასწორობა. მაშასადამე, დემოკრატიის დამახასიათებელი ატრიბუტი ეს ორი დებულება არ არის.

და მართლაც, თავისუფლება შეიძლება იყოს დემოკრატიის გარეშეც. ლიბერალების რეჟიმი თავისუფლების რეჟიმია. ასევეა თანასწორობა. დესპოტიაში ყველა თანასწორია უუფლებობით; საბჭოთა ქვეყანაში მთელი ხალხი ყოველ მხრივ გათანაბრებულია სიღატაკეში და მორჩილებაში. ცხადია, მხოლოდ თვით დემოკრატიის მიერ დამყარებული თავისუფლება და თანასწორობა შეიძლება იყოს ხალხური, დიდი უმრავლესობის ინტერესების და აზრების გამომხატველი. ხოლო დემოკრატია არსებობს იქ, სადაც თვითეული მოქალაქე არის ერთ და იმავე დროს სუვერენი და ქვეშევრდომი, ბრძანებელი და ბრძანების ამსრულებელი. ის, როგორც სუვერენი, კანონმდებელია, აღმასრულებელია, მოსამართლეა; როგორც ქვეშევრდომი—კანონის მორჩილია, განჩინების და სასჯელის მიმღებია. სადაც ასეთი წყობილება არსებობს, იქ თავისუფლების და თანასწორობის საკითხი ღებულობს ხალხურ ხასიათს. აქ თავისუფლება არ ნიშნავს მოქალაქის უფლებას—აკეთოს რაც მოეპრიანება არც თანასწორობა ნიშნავს მოქალაქის ქონებრივი უფლების აყრას და ძალით, მექანიკურათ, მათ გათანაბრებას. ეს იქნებოდა არა დემოკრატიზმი, არამედ ბოლშევიზმი. ანტიდემოკრატიულ ქვეყანაში თავისუფლების შეკვეცა წა-

რმოებს მუდამ ხალხის საწინააღმდეგოთ, დემოკრატიაში კი—ხალხის სასარგებლოთ. დემოკრატიული ათინის კანონმდებლობით აკრძალული იყო თავსდასხმა ორ უზენაესობაზე: მაღლა ღმერთზე და დაბლა დემოკრატიულ წყობილებაზე.

მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვა ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში ხალხის სუვერენობის გადასარჩენათ და უზრუნველსაყოფათ დემოკრატიის არსებითი პოლიტიკაა. დემოკრატიის მიუცილებელი ატრიბუტი თავისუფლებაა, მარა არა იმდენი რომ მან შესუამოს მშობელი დედა.

დემოკრატიაში ყველა პიროვნებას უნდა ქონდეს თავისუფალი გასაქანი დაიცვას თავისი მრავალფეროვანი ინტერესები, აწარმოვოს თავისი საქმეები თავის შეხედულობისამებრ, მაგრამ ეს გასაქანი არ უნდა შორდებოდეს იმ საზღვარს, რომლის იქით იწყება პოლიტიკური საზოგადოების დანგრევა კერძო პირთა მიერ. მიუღებელია მოშლა მთელის მიერ კერძოსი, კერძოს მიერ მთელის. ამათ შორის საზღვარის გავლება და დაცვა არის საგანი დემოკრატიის ორგანოების.

3. დემოკრატიის ორგანოები.

მოქალაქე არის საზოგადო საქმეებში სუვერენი, მაგრამ არა ინდივიდუალურათ, მის-მისდა, არამედ სხვა მოქალაქეებთან ერთათ, როგორც წევრი მთელი საზოგადოების. ის ახორციელებს თავის სუვერენობას კოლექტიურათ, ქვეშევრდომობას ინდივიდუალურათ. მაშასადამე, დემოკრატიის მთავარი ორგანოა მოქალაქეთა მთელი კრებული, სუვერენია ადამიანთა კოლექტივი. ეს კოლექტივი არის სხვადასხვა სახის, ზომის და დანიშნულების. ის ყოველგან, სოფელში, ქალაქში თუ სახელმწიფოში, ერთი და იმავე პრინციპის მატარებელია—განაგოს თვითონ თავისი საქმეები.

ხალხი და ერი ერთმანეთს არ ფარავენ. ერი არის კრებული ყველა კლასთა და წრეთა, ხალხი კი კრებული ერთი მეორის მსგავსი კლასების და წრეების ადამიანებისა. ეს მსგავსება არ არის ერთიგივეობა, თანაბრობა, ნივთიერი და სულიერი თანასწორობა. ცდა მისი ამ გზაზე გადაყვანის, ხალხის ერთფეროვან ერთეულათ გადაქმნის სავსებით ეწინააღმდეგება დემოკრატიის ძირითად დებულებას, ადამიანის ცნობას ისე როგორც ის ბუნებრივათ ბოძებულია და საზოგიდოებრივათ განვითარებულია. საბოლოოთ, ერში არის ორი კლასი: დიდი შეძლების და პატარა შეძლების, რომელთა შორის სოციალური ხაზი ღრმათ გავლებულია, ორ ბანაკათ ჩამოყალიბებულია. დემოკრატია ერში ნიშნავს ხალხის, ე. ი. პატარა შეძლების კლასების პოლიტიკურ ბატონობას; არა-დემოკრატია, რა სახისაც უნდა იყოს, ის ნიშნავს დიდი შეძლების კლასების და ხალხზე მაღლა მდგომი წრეების პოლიტიკურ ბატონობას. ამ საერთო კანონს ვერ აშორდა [illegible] სადაც პარტია—სუვერენი [illegible] დანარჩენ მცხოვრებთან შედარებით ყველა ქონებრივი პრივილეგიე-

ბით. უმცირესობას არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება თუ ის ქონებრივათ დამოკიდებულია უმრავლესობაზე. თუ ხალხი სტიქიურათ მიილტვის დემოკრატიისაკენ, შეძლებული და პრივილეგიური წრეები ასეთივე სტიქიურათ მიილტვიან ანტიდემოკრატიული წყობილებისაკენ. ამათი ამ ბრძოლაში დამარცხება, მათი დემოკრატიაში ჩაჯერა მათთვის დიდი უბედურობაა და ცდილობენ პირველ შემთხვევისთანავე მას თავი დააღწიონ, ძველი პრივილეგიური მდგომარეობა აღიდგინონ. მათი მთავარი პოლიტიკური მოთხოვნილებაა დემოკრატიაში თავისუფლება, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, რომ ამით ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ხალხი დასჯაბნონ და მისი ბატონობა დაანგრიონ. დემოკრატიის ორგანოების საგანია თავისთავი დაიცვას მათ თავდასხმისაგან, ე. ი. ალაგმოს მათი თავისუფლება ხალხის სასარგებლოთ. რაკი დემოკრატიის მთავარი ორგანოა ხალხი—სუვერენი, მას თავისი უზენაესობის გამოხატვა შეუძლია მხოლოდ ერთი გზით—რიცხვით, უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

ძალაუფლების სათავეა უმრავლესობა. ვინაიდან ძალაუფლება არის ერთი, მთლიანი, განუყოფელი მართველობა, ცხადია მისი ჩამორიგება, სხვადასხვა მოპირდაპირე ჯგუფებისათვის დანაწილება ნიშნავს მის დამბლას, დაუძლურებას. დესპოტიაში მართველობის დამბლა ხალხის სასარგებლოა, დემოკრატიაში კი საზარალო. ძალაუფლება ვერ ამუშავდება სხვადასხვა ერთი-მეორის მოპირდაპირე ხაზზე, ის, ავია თუ კარგია, ერთ პრინციპს, მთლიან უფლებას წარმოადგენს. როცა ხალხი-სუვერენი ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში რომ ის არ იძლევა გარკვეულ უმრავლესობას, მისი აზრი და სურვილი ნაწილდება მრავალ სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის, რომელთაგან არც ერთი არ ხატავს სუვერენის ნებისყოფას. ცხადია ამ ნიადაგზე აგებული მართველობა უძლური და უნებისყოფო იქნება. ამიტომ პროპორცი-

ონალური საარჩევნო სისტემა, ხელისუფლების პროპორციონალურათ დარიგება ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს და ინტერესებს. ის ჩინებულია აზრის გამოსარკვევათ მაგ. პარტიაში და მის მიხედვით შინაგანი კომპრომისის დამყარება. მაგრამ კომპრომისი მებრძოლ კლასთა შორის, ხელისუფლების სფეროში, დაუშვებელია. რა სჯობია: გლახა უმრავლესობის მართველობა თუ მისი პარალიჩი? დემოკრატიაში უეჭველია უპირატესობა ეკუთვნის პირველს; აქ დემოკრატიის სათავე, მისი მთავარი ორგანო—ხალხის სუვერენობა—შენახულია და თუ ის დღეს კონკრეტულ პოლიტიკაში ცდება, ხვალ გამოსწორდება. მეორე შემთხვევაშიკი იშლება თვით დედა-ბოძი, ხალხი გულს იცრუებს თვით დემოკრატიაზე, მის შესაძლებლობაზე და უმზადებს ნიადაგს თავის მტრებს. დემოკრატია იღუპება. ამის მაგალითია გერმანია. პროპორციამ შექმნა დუხჭირი საპარლამენტო კოალიცია, კოალიციამ პოლიტიკური უძლურება, უძლურებამ ანტიდემოკრატიული უმრავლესობის შეყენება, უკანასკნელმა ბრიუნინგის დიქტატურა, პარლამენტის ალაგას ორდონანსები და ასე დაბლა-დაბლა ჩამოჩოჩება ფონ პაპენამდე. დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი; ერთ ადგილზე ტკეპნა, გაურკვევლობა და უთავბოლობა გამორიცხულია. მსაჯული და რეგულიატორია ხალხი.

აქ ისმება ერთი მძიმე საკითხი: როგორ შეიძლება დემოკრატიის დაცვა თვით ხალხის—სუვერენის თავსდასხმისაგან. გათიშვა დემოკრატიის და ხალხის ხშირათ მომხდარა და ხდება დღესაც, ჩვენ თვალწინ. ხალხის ბუნებრივი, სტიქიური დემოკრატია თავისთავათ არ ფარავს პოლიტიკურ დემოკრატიას, მის წყობილებას და სისტემას. სტიქიური დემოკრატია საფუძველია შესაფერი უფლებრივი ზედშენობის. მათი გარღვევა ხდება ყოველთვის როცა მათ შორის

არ არის დაცული მუდმივ კავშირი, ე. ი. მათი შეუსაბამო ურთიერთობა, ხალხურ საფუძველზე არა ხალხური პოლიტიკური შენობის აგება ანელებს დემოკრატიას. პოლიტიკური დემოკრატიის დაშორება ხალხის რეალურ ინტერესებისაგან, მის საარსებო პირობებისაგან და მისი გადაქცევა იარაღად ხალხის მტრებისა—დემოკრატიის დანგრევის წინამორბედია. ამის მაგალითად წამოყენებულია იდეიური მომენტი, ვითომ სტიქიური და პოლიტიკური დემოკრატიის გადაჯაჭვა შეიძლებოდეს პროპაგანდა-აგიტაციით, პარტიული ორგანიზაციებით და დისციპლინით. რასაკვირველია, ეს ყველაფერი საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ გადამჭრელი ფაქტორი ის არ არის. ვინაიდან ხალხის შეგნება და აზროვნება დამოკიდებულია მის მდგომარეობაზე, მთავარია მაშასადამე აზროვნების დამაგრება მდგომარეობის შეცვლით. დემოკრატია, რომელიც არ ახდენს მუდმივად, შეუჩერებლად ამ ცვლილებას ხალხის სასარგებლოთ, განწირულია, ვერავითარი ქადაგება მას ვერ უშველის. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ხალხის ბუნებრივ დემოკრატობამ ვერ იპოვა თავისი შესაფერი პოლიტიკური გამოხატულება.

დემოკრატიის მთავარი ორგანოა, როგორც ვთქვით, ხალხი—სუვერენი. მისი ამუშავება ხდება შესაფერ ფორმებში. ეს ფორმები დამოკიდებულია ერის კულტურულ, ისტორიულ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ეს უკანასკნელი იცვლება ერთი ქვეყნიდან მეორემდე, ყველა ხალხი თავისებურად იკაფავს ცხოვრების გზას. მისი კონსტიტუცია უნდა ეგუებოდეს აი ამ გზას. მის სოციალურ სტრუქტურას, მის წასულს და აწმყოს. მონარქიული ტრადიციების ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევა პლებისციტური გზით არ შეეფერება დემოკრატიის ინტერესებს, ეს უკვე ჩანასახია მონარქიზმის და ბონაპარტიზმის. თვით პროცესი არჩევისა არ ქმნის დემოკრატიას; საჭიროა ამ არჩევის ჩამოსხმა ისეთ ფორ-

მებში, რომ ის არ გახდეს ანტიდემოკრატიული ხელისუფლების კვარცხლბეკი. იმ ფორმების დაუცველობა ბადებს ამ საოცარ მოვლენას. რომ ჰინდენბურგი სრულიად კანონიერათ აუქმებს დღეს დემოკრატიას. გერმანიის დემოკრატიული კონსტიტუცია გაჟღენთილია მონარქისტული სულით, ის არ შეეფერება ერის კონკრეტულ პოლიტიკურ მდგომარეობას.

რაც უფრო ხალხის სუვერენობა იხატება სახალხო ფორმებში, რაც უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ამ სუვერენობის განხორციელება, რაც უფრო უშუალოთ იღებს ის მონაწილეობას კანონების გამოცემაში, ასრულებაში და სამართალში, მით უფრო დაახლოვებულია პოლიტიკური დემოკრატია სტიქიურ დემოკრატიასან, მით ნაკლები ზღუდეებია მათ შორის. კონკრეტიულათ რომ ვთქვათ, დღევანდელ დემოკრატიულ ერთა შორის, ყველაზე მეტი სუვერენია შვეიცარიის ხალხი, ყველაზე ნაკლები საფრანგეთის. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ შვეიცარიის დემოკრატია განვითარდა მისი პრიმიტიული დემოკრატიისაგან და გამოიყოლია მისი დადებითი თვისებები: საფრანგეთის კი აღორძინდა ბურჟუაზიული ლიბერალიზმისაგან და თან გამოიყოლია მისი ყველა უარყოფითი მხარეები. იქ დემოკრატიას და ხალხს შორის მცირე მანძილია, აქ კი გრძელი ხიდია. ხალხისაგან ისე დაშორებულია, რომ ამას წინეთ ვიღაც ავანტიურისტ ბულანჟემ კინაღამ დაანგრია. დემოკრატია მკვიდრია იმდენათ, რამდენათ ხალხს და ხელისუფლებას შორის ნაკლები საფეხურია. ცხადია, დემოკრატიის საფრთხე მოდის არა ხალხისაგან, არამედ ხალხის და დემოკრატიის უფლებრივათ დაშორებისაგან, არა-ხალხური პოლიტიკური წყობილებისაგან.

პოლიტიკური დემოკრატიის დაყვანა ბუნებრივ დემოკრატიამდე, მათ შორის გზის შემოკლება, იძლევა მთავარ უფლებრივ გარანტიას ხალხის სუვე-

რენობისას. ძველ დემოკრატიაში ეს პირობა იყო დაცული სავსებით. მხოლოდ ის იფარგლებოდა მცხოვრებთა უმცირესობით; დიდი უმრავლესობა, პოლიტიკურ უფლებას მოკლებული, აღარ იყო დაინტერესებული დემოკრატიის შენახვაში და ამით ხელს უწყობდა მის დაქცევას. დღეს ეს ნაკლი აცილებულია. მაგრამ მისი ღირსება უარყოფილია. რაც ბოლოს და ბოლოს იმავე შედეგს იძლევა—ხალხის გულგრილობას დემოკრატიის სვებედისადმი. თანამედროვე დემოკრატიის წარმომადგენელობითი ფორმა დღეს აუცილებელია. მაგრამ ის არ არის არც იდეალური, არც სამიდღემჩიო. წარმომადგენელობითი სისტემა ღვიძლი შვილია ბურჟუაზიული პერიოდის და გათავდება ამ პერიოდის გათავებასან ერთათ. სოციალისტური პოლიტიკური საზოგადოება უეჭველია იქნება კრებული პატარა თვითმართველი ერთეულების, სადაც მთელი ერის დელეგაცია შეიყრება მხოლოდ ზოგი საერთო საკითხების მოსაგვარებლათ, დაახლოვებით იმ ფორმის და სახის, რომელიც გამოიმუშავა საფრანგეთის კომუნამ 1871 წ. მაშასადამე, წარმომადგენლობითი სისტემა ბურჟუაზიის გამოგონებაა. ხოლო დემოკრატიის საქმეა მისი შეკეთება და მისთვის თანდათან ხალხური ფორმის მიცემა.

ყველა დემოკრატია ძველათ ემსახურებოდა ხალხის—სუვერენის ინტერესებს და ებრძოდა შეძლებულთა ბატონობას. უკანასკნელნი მიზანს აღწევდენ არა დემოკრატიის ფარგლებში, არამედ მისი დაქცევით და მის ალაგას ოლიგარხიის ან ტირანიის შემოღებით. აქ მუდამ იყო დაპირდაპირებული ორი ბანაკი: ხალხის და მდიდრების. უკანასკნელთა კლასმა ვერასოდეს ვერ შესძლო დემოკრატია ხანგრძლივათ თავის ინტერესების ორგანოთ გაეხადა. თავის სამსახურში ჩაეყენებია. ოლიგარხიული დემოკრატია დიდ სიბრიყვეთ და შეუძლებლათ იყო ცნობილი. აი ეს პოლიტიკური სეკრეტი აღმოაჩინა ბურჟუაზიამ,

მან პირველათ გახადა დემოკრატია შეძლებულთა ძლიერების გზათ და ხიდათ. იშვა ბურჟუაზიული დემოკრატია. ამ მსოფლიო მოვლენამ დაასვა წაუშლელი დაღი თანამედროვე დემოკრატიას. აუბნია გზა-კვალი ხალხის სუვერენობას, მისცა მას ანტიხალხური ფორმები.

4. ბურჟუაზიული დემოკრატია.

ხალხის სუვერენიტეტის სავსებით ხალხის გარეშე მდგომ კლასების სასრგებლოთ ამუშავება ჩვენი დროის მოვლენაა. ამიტომ დემოკრატიის ძირითადი პრინციპები პოულობენ თავის პოლიტიკურ გამოხატულებას ამ გაბატონებულ კლასების იურიდიულ ფორმებში. ერის უმრავლესობის ფორმალური ბატონობა ხდება უმცირესობის ფაქტიურ ბატონობათ; და რადგანაც ამ უმცირესობას დღეს ეწოდება ბურჟუაზია—დემოკრატიაც ხდება ბურჟუაზიული. ის, მსგავსათ ოლიგარხიული დემოკრატიისაა, თან ატარებს შინაგან შეურიგებლობას. დემოკრატია ან უნდა იყოს ხალხური ან სრულებით არ უნდა იყოს. ნამდვილათ კი ის არის და არც არის. ხალხი ერთდაიმავე დროს ბატონობს და არც ბატონობს, პოლიტიკური ფორმა და სოციალური შინაარსი ერთმანეთის მუდმივ წინააღმდეგობაშია. ერის სათავანიდან მომდინარეობს წმინდა წყალი, მაგრამ შემდეგ გზადაგზა ის იმღვრევა და ბოლოს სავსებით წუმპეთ ხდება. აი ამ ამღვრევას, ხალხის ინტერესების გამრუდებას, წაშლას და მის ალაგას შეძლებულთა ინტერესების წამოყენებას ემსახურება მთელი თანამედროვე ფორმები დემოკრატიული წყობილებისა. და რაც უფრო გასაკვირალია, ეს ფორმები არ იწვევენ უკმაყოფილებას, ბრძოლას, სხვა ფორმების დაპირდაპირებას. პირიქით, ისინი უდაოთ მიღებულია დამორჩილებული კლასების მიერ და მსოლოდ ცდილობენ მათ თავის სასარგებლოთ გამოყენებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზიამ დაიმორჩილა არა-ბურჟუაზიული კლასები იდეოლოგიურათ და მიაღებია თავისი კონცეპცია დემოკრატიაზე; მან დაიმორჩილა პირველ ყოვლისა წვრილი ბურჟუაზია და შეიტანა არევ-დარევა პროლეტარიატში.

დღევანდელი დემოკრატიული მსოფლმხედველობა მოდის ბურჟუაზიიდან და ეფინება მთელ სა-

ხოგადოებას. მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას ერთვის იდეოლოგიური ბატონობა. კლასიკურ დემოკრატიაში ხშირად ხდებოდა ისეთი ძირითადი რეფორმები, რომელიც არყევდა შეძლებულთა ნივთიერ უპირატესობას. თანამედროვე დემოკრატიაში არ მომხდარა არასოდეს ისეთი რეფორმა, რომელიც არყევდეს ბურჟუაზიის უპირატესობას. მისი ბრძანებლობა სრული, ყოველმხრივია.

დემოკრატიის დედა ბოძი—ხალხის სუვერენიტეტი არასოდეს არ ყოფილა ბურჟუაზიის მოძღვრება. სამაგიეროთ მეორე მისი ატრიბუტი—თავისუფლება მუდამ ეწერა ბურჟუაზიის დროშაზე. ამ დროშის ქვეშ ებრძოდა ის საუკუნეთა განმავლობაში ფეოდალებს, მეფეთა თვითმპყრობელობას და გამოვიდა გამარჯვებული დიდი რევოლიუციის საშვალებით. დამფუძნებელი კრება გასდა იარაღი მისი პოლიტიკური და იდეური გამარჯვების. აქ გაიშალა ფართე მასშტაბით მისი მიმართულება: სრული თავისუფლება ეკონომიურ სფეროში (l.aisser fair), თავისუფლება საზღვარ დადებული ცენზიანი კონსტიტუციით პოლიტიკურ სფეროში—აი მისი დროშა; თავისუფლების ამ ოლიგარხიულ კონცეპციას თავიდანვე დაუპირდაპირდა მისი ხალხური გაგება. ჯერ კიდევ რევოლიუციამდე რუსო სწერდა თანასწორობაზე:

«რაც შეეხება სიმდიდრეს, არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს იმდენათ მდიდარი რომ შეეძლოს სხვისი შეყიდვა და არავინ ისე ღარიბი რომ იძულებული იყოს სხვას მიეყიდოს» *).

ეს შეხედულება დაუპირდაპირა რობესპიერმა დამფუძნებელ კრებაში ბურჟუაზიის ლიბერალურ პრინციპებს. მან 5 აპრილის კრებაზე (1791 წ.) განაცხადა:

«შეძლების ნამეტანი უთანასწორობა არის მი-

*) Contrat social.

ზეზი პოლიტიკური უთანასწორობის და თავისუფლების მოსპობის. კანონი მუდამ უნდა ცდილობდეს შეამციროს ეს უთანასწორობა, რაიცა ზოგისათვის არის იარაღი სიამაყის, ვნებების და ხშირად დანაშაულობის. დიდი სიმდიდრე რყვნის მის პატრონს და-მის შემშურეთ... მაშ, თქვენ არაფერი არ გაგიკეთებიათ საზოგადოების ბედნიერებისათვის თუ ყველა თქვენი კანონები, ყველა თქვენი დაწესებულებები არ მუშაობენ შეძლების ამ ნამეტანი უთანასწორობის წინააღმდეგ». ორი დეკემბრის სხდომაზე ის შეებრძოლა ვაჭრობის თავისუფლების თეორიას.

«უპირველესი სოციალური კანონია ის, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების თვითეული წევრის სააოსებო საშვალებებს, ყველა სხვა კანონი ამას ექვემდებარება. საკუთრება დაწესდა აი ამ კანონის გასამაგრებლათ... გადასაჭრელია ძირითადი პრობლემა: უზრუნველეყოს საზოგადოების თვითეულ წევრს მიწის ნაყოფის მოხმარა, რაც მიუცილებელია მისი არსებობისათვის. მესაკუთრეს ანუ მიწის მუშაკს ფასი მისი ნამუშიერის, ხოლო რაც ამას გადარჩება გადაეცეს თავისუფალ ვაჭრობას. მე ვსპობ არა ვაჭრობას, არამედ მონოპოლიის ყაჩაღობას. მე მათ ვსჯი იმით, რომ ვაიძულებ დაანებონ ცხოვრება თავისავე მოძმეთ... კანონმდებელი ადამიანთ უდიდეს სამსახურს გაუწევს იმით, რომ აიძულებს მათ იყვენ პატიოსანი».

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს თავიდანვე ებრძოდა სახალხო დემოკრატიული იდეოლოგია და ითხოვდა თავისუფლების დაყენებას თანასწორობის სამსახურში. იაკობინელების შინაური პოლიტიკა ამ დოქტრინაზე იყო აგებული. მათი დამარცხება გზას უკაფავს ბურჟუაზიის დროშას. მაგრამ ნაპალეონის დიქტატურა ამ გზას ახშობს და საზოგადოებაზე აბატონებს ხმალს. მხოლოდ ლუი ფილიპეს ეპოქა ქმნის ბურჟუაზიის ეკო-

ნომიურ და პოლიტიკურ ტრიუმფს, რასაც ბოლოს უღებს თებერვლის რევოლიუცია. თავისუფლების ორგვარი გაგება აქაც ერთმანეთს ეჯახება. იწყება ცდა შრომის ორგანიზაციისა, რაც თავდება ივნისის აჯანყებით. მაგრამ ბურჟუაზიის გამარჯვება ხანმოკლე ჩნდება, ნაპალეონ III იმორჩილებს ყველა კლასს თანასწორათ. 1871 წ. მეორდება იგივე ორი მიმდინარეობის შეჯახება. გამარჯვებულ ბურჟუაზიას ეპირდაპირება კომუნა, თავისი საკუთარი სოციალური და პოლიტიკური კონცეპციით.

ყველა დემოკრატიული კლასები და მათი იდეოლოგები ამ ხანგრძლივ ისტორიულ ბრძოლაში დარწმუნებულნი იყვენ, რომ დემოკრატიული წყობილება ნიშნავს შეძლებულ კლასების ბატონობის დაცემას და ხალნის ეკონომიურ და პოლიტიკურ უაღრესობას. დემოკრატია ყოველგან და ყოველთვის ეპირდაპირება ლიბერალიზმს, დემოკრატიის ბატონობა ბურჟუაზიის ბატონობას. დაბოლოს მოხდა მოულოდნელი ამბავი: ერთ და იმავე დროს იმარჯვებს ბურჟუაზიაც და დემოკრატიაც! ბურჟუაზია დემოკრატდება, დემოკრატია ბურჟუაზდება. რა ნაირათ? ან ბურჟუაზიას უნდა დაეკარგა თავისი კლასიური ხასიათი, ან დემოკრატიას თავისი ხალხური შინაარსი. სხვანაირათ ამ ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობის შედუღება შეუძლებელი იქნებოდა. მოხდა, რასაკვირველია, მეორე პროცესი. დემოკრატიამ მიიღო ბურჟუაზიული ფორმა და შინაარსი. ხალხი გაირიყა; დემოკრატია მისთვის მოწინააღმდეგე ბანაკიდან აღმოცენებული მცენარეა, რასაც მასთან არ აქვს ორგანიული კავშირი.

ამ ნაირათ, დემოკრატიის გამარჯვება ყოველგან ხდება მისი ხალხური სულისკვეთების დაკარგვით და ბურჟუაზიულის მიღებით. ამიტომ ბურჟუაზია დემოკრატიას ღალატობს მაშინვე, როგორც კი ეს უკანსკნელი ღებულობს ხალხურ შინაარსს და, მაშასადამე, მას თავისი ბატონობის იარაღათ არ

ადგება. გერმანიის ბურჟუაზია სწორედ ამ მიზეზით გადაუდგა დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც პროლეტარულ დემოკრატიამ დაიპყრო რამდენიმე პოზიცია და ცდილობდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკის სახალხო რესპუბლიკათ გადაქცევას. მისი პოლიტიკური ზომიერება, წარმოებული ბურჟუაზიის დემოკრიტიასთან შესარიგებლათ და მით ვეიმარის რეჟიმის გასამაგრებლათ, გათავდა დამარცხებით. დემოკრატია შეიძლება იყოს ან ბურჟუაზიული ან ხალხური, შუათანა გზა გამორიცხულია. მაშასადამე გერმანიის დემოკრატიის საბოლოოთ დამკვიდრება შეიძლებოდა არა ზომიერებით, არამედ რადიკალიზმით, რევოლიუციის ხანაში რევოლიუციური გზით სახალხო რესპუბლიკის დამყარებით. საზოგადოთ, დემოკრატიული წყობილების შემოღება და დამაგრება უფრო ადვილია ჩამორჩენილ, აგრარიულ ქვეყანაში, ვინემ სამრეწველოში. იქ საკმარისია მიწათმფლობელთა კლასის დარღვევა, რომ ხალხმა დემოკრატიაში ამოყოს თავი. აქ საჭიროა მთელი თანამედროვე სოციალური ურთიერთობის შერყევა, სხვილი ბურჟუაზიის დაშლა, მთავარი ეკონომიური დარგების ხალხის საკუთრებათ გამოცხადება, მთელი ეკონომიური ევოლიუციის ახალ რელსებზე გადაყვანა, რომ დემოკრატია საბოლოოთ დამაგრდეს. ეს იქნება დემოკრატია ხალხური, ძლიერი, შეურყეველი.

ეროს დაწერილი კონსტიტუცია აღბეჭდავს მის დაუწერელ, მატერიალურ კონსტიტუციას. მათ შორის აღორძინებული შეუსაბამობა იხსნება უკანასკნელის გამარჯვებით პირველზე. ნივთიერი საფუძველი ითხოვს მის შესაფერ პოლიტიკურ ზედშენობას. ისტორიის მოტყუება სიტყვიერებით, პროპაგანდა აგიტაციით შეუძლებელია.

ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასიკური ქვეყანაა საფრანგეთი. ე. ი. აქ მოხდა ყველაზე უფრო დაშორება დემოკრატიისა ხალხისაგან და ბურჟრაზი-

ისა თავისი კლასიური პოლიტიკური დოქტრინისაგან. ვამოჩნდა რომ ეს საშიშარი დემოკრატია არც ისე საშიშარი ყოფილა გაბატონებულთათვის, რომლის მოთვინერება, მოშინაურება, ყველა რევოლიუციური და ხალხური კბილების ამოგლეჯა და სალონებში გამოსაჩენათ ახალი ფერ-უმარილის შეცხება შესაძლებელია. აი ამ პირფარეშის როლი იტვირთა წვრილ-ბურჟუაზიამ. ის დაემორჩილა რა ბურჟუაზიულ სოციალურ იდეოლოგიას, დაიმორჩილა ის პოლიტიკურათ. მან შესძლო უკანასკნელი 40-50 წ. განმავლობაში საფრანგეთის სოფელში შეერყია კლერიკალური, ბონაპარტისტული და მონარქიული ტრადიცია. გამოეყვანა გლეხი სამოქალაქო ასპარეზზე, განეშორებია ეკლესია სახელმწიფოსაგან, აემუშავებია მოქალაქეთა თავისუფლების დასაცავათ და გასატარებლათ პოლიციის აპარატები, მიეცა მუნიციპალიტეტებისათვის დამოუკიდებლობა და ასპარეზი—საერთოთ იმუშავა პოლიტიკური უფლებების ხალხისთვის შესარჩენათ და გასაფართოვებლათ. სამაგიეროთ სოციალურ ასპარეზზე ის ვერ გაშორდა ბურჟუაზიის მოძღვრებას. ამ სფეროში მთელი მისი იდეოლოგია იხატება ყორესის უკვდავ, დახასიათებით: კაპიტალიზმის ბატონობა მათრახს ქვეშ. ხოლო ამ ძირითად დებულებას თავისი ლოღიკა აქვს; კაპიტალიზმის ელდორადო გახდა სწორეთ მესამე რესპუბლიკა. თავისთავად ცხადია, რომ ამ წყობილებაში ფრთა გაშლილი და აღორძინებული გაბატონებული კლასი იქნება რესპუბლიკის და დემოკრატიის მომხრე, სანამ... სანამ ეს დემოკრატია მას ემსახურება რასაკვირველია. გერმანიის შინაგანი მდგომარეობა აქ ჯერ არ დამდგარა.

წვრილ ბურჟუაზიულ რადიკალიზმს ერთი დიდი სამსახური მიუძღვის—მან გაბეკნა გზა სოციალური დემოკრატიისათვის. მას უკან მისდევს პროლეტარიატის ლაშქარი და მის მიერ დაპყრობილ რაიონებს იპყრობს. ეს ერთი პოლიტიკური რგოლია:

კონსერვატიულ ბურჟუაზიას ამარცხებს რადიკალური. რადიკალურს პროლეტარიატი. რადიკალიზმი მომწყვდეულია ორ გრდემლს შორის, მას ურტყამენ მარჯვნივ და მარცხნივ. მაგრამ იმყოფება განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში; ორივე მოწინააღმდეგე ეპყრობა ლმობიერათ, ურტყამენ რბილათ, ისე რომ მართლა არ წაიქცეს და ორი უკიდურესი ბანაკი არ დარჩეს პირისპირ, უშუალოთ. ამიტომ ხალხი სუვერენი, რომელსაც 4 წელში ერთხელ ეკითხებიან პოლიტიკურ აზრს, ვეღარც კი არჩევს რა განსხვავებაა ყველა ამ დემოკრატიათა შორის, უმრავლესობას არიგებს ხან მარჯვნივ, ხან ცენტრში, ხოლო ცოტაოდენ ნამცეცებს გადაისვრის მარცხნივაც. დაიწყო პოლიტიკური წაჯექ-უკუჯექობა, კონსერვატიული ბურჟუაზიის მართველობას მოსდევს რადიკალური მართველობა, უკანასკნელს ისევ პირველი და ასე ერთი მეორეს სცვლიან პერიოდულათ. ხოლო ინგლისში, ბელგიაში და სკანდინავიის ქვეყნებში ამ პარლამენტარულ თამაშში შევიდა პროლეტარული დემოკრატიაც. ხდება უკანასკნელის ჩატყუება ბურჟუაზიული მართველობის სისტემაში. მისთვის, მსგავსათ რადიკალებისა, ამოგლეჯა ხალხური კბილების და «რიგიან» საზოგადოებათ გადანათვლა. ხალხი ვეღარ არჩევს მათ შორის დიდ განსხვავებას და აქეთ იქით ეხეთქება; წაჯექ-უკუჯექობა გრძელდება მთელი ერის მასშტაბით. ბურჟუაზიული დემოკრატია გაკოტრებულია. ეს დღეს ისე თვალსაჩინოა, რომ ყველა მიმართულება ეძებს ახალ გამოსავალს, ამდენხანს არსებული პოლიტიკური გეზის გადატეხას და საზოგადოების ახალ რელსებზე შეყენებას. და თუ ამას თავის დროზე პროლეტარული დემოკრატია ვერ მოახდენს, მემარჯვნენი მას დაასწრებენ და ამ გადატეხას მოახდენენ ისტორიის ჩარხის უკან დასაქანებლათ.

5. პროლეტარული დემოკრატია.

ხალხის ნაწილთა შორის ყველაზე უფრო დემოკრატიული ნაწილია პროლეტარიატი. მათ შორის საერთოა მათი სოციალური მდგომარეობა, ყველა ერთად საგანია შეძლებულთა ექსპლუატაციის, საწველი ფურია მსხვილი ბურჟუაზიის და მის ამყოლ-დამყოლთა. მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა: ყველა ისინი იძულებულნი არიან თავი ირჩინონ პირადი შრომით. მაგრამ გლეხის და წვრილი ბურჟუაზიის შრომა წარმოებს ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე, ერთი მეორეზე დამოუკიდებლათ, ხოლო პროლეტარიატის შრომა კი მიმდინარეობს სხვებთან ერთათ, თავის კლასიური ამხანაგების გვერდით და მათთან საერთო ფერხულში. ის ამ რგოლიდან ვერ გამოვერდება შრომის პროცესში, ვერ გამოვარდება ვერც ბრძოლის პროცესში. მაშასადამე, მისი სტიქია, მისი საარსებო კალაპოტი, რომლის გადალახვა მას არ ძალუძს, არის კლასიური, საზოგადოებრივი, თვით მებრძოლი და თვით მართველი. პროლეტარიატის დემოკრატიზმი დაყრდნობილია არა ერთ, არამედ ორ თვისებაზე: სიღარიბეზე და შრომის პროცესზე. დემოკრატიზმი მისი თანდაყოლილი, განუშორებელი სოციალური ბუნებაა. ამ ბუდიდან მისი ამოვარდნა, ინდივიდუალურათ თუ კოლექტიურათ, არ შეიძლება არ გათავდეს მისი განმარტოვებით და სასტიკი დამარცხებით. ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა მუშათა კლასში თუნდაც ის ამ კლასის დროშით გამოდიოდეს, არის ღრმათ ანტიპროლეტარული, ანტიკლასიური მიმდინარეობა, რომლის ობიექტიური შედეგია ამ კლასის დაქსაქსვა, მთლიანი მოძრაობის მოსპობა, და ასე დაუძლურებული—მტრის ადვილ დასამარცხებლათ გადაქცევა. ბოლშევიზმი პროლეტარიატს უნგრევს თვით საფუძველს, უჭრის იმ ხეს, რომელ-

ზედაც ის ზის, ართმევს იმ ერთათ-ერთ მჭრელ იარაღს, რომლითაც ის თავს იცავს და მტერს უტევს. ამაზე უფრო დიდი მტერი პროლეტარიატს თავის წიაღში არასოდეს არ ყოლია.

დემოკრატიზმი პროლეტარიატის სოციალური ბუნებაა. ის მისგან განუყრელია. პროლეტარული დემოკრატია უფრო ფართეა, ვინემ სოციალისტური დემოკრატია. პირველი ხატავს მუშათა კლასის მთელ აქტივობას თავის ფარგალში, ერში, საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო მეორე ხატავს მისი აქტივობის ერთ მხარეს—პოლიტიკურ-პარლამენტარულ ბრძოლას. ამ მეორე შემთხვევაში ის მხარში უდგას სხვა დემოკრატიულ კლასებს. რომელთა შორის განსხვავება მცირდება, თუ სულ არ იშლება; პირველ შემთხვევაში კი ის რჩება სავსებით განსხვავებულ, სხვა კლასებიდან გამოყოფილ სოციალურ ერთეულათ თავისი საკუთარი საკვალი გზით და ბრძოლის მეთოდებით. მისი კლასიური დროშა გამომდინარეობს მისი მდგომარეობიდან წარმოებაში. ის იძულებულია იყოს მუდმივ დაპირდაპირებაში მის პატრონ-კლასთან და მასთან ფეხდაფეხ ბრძოლით გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა. მისი ანტიბურჟუაზიული მიდრეკილება ისეთივე გარდაუვალია, როგორც მისი დემოკრატიული სულისკვეთება. ე. ი. მისთვის დემოკრატიული სტიქიურათ ნიშნავს ანტიბურჟუაზიულს. ბურჟუაზიული დემოკრატია მისთვის ბუნებრივათ მიუღებელია.

რაკი პროლეტარიატი იძულებულია თავისი მდგომარეობით აწარმოვოს გამანთავისუფლებელი ბრძოლა ბურჟუაზიის ბატონობისაგან, ცხადია მას ეს არ შეუძლია აწარმოვოს ნაყოფიერათ ისეთი დროშით, რომელიც მიუღებელია სხვა დემოკრატიული კლასებისათვის. მისი სოციალური მიზანი ისეთივე დემოკრატიული უნდა იყოს, როგორიც არის მისი პოლიტიკური მიზანი, ხალხური დემოკ რატია, ხალხური ეკონომია. ამ ეკონომიის ძირითა-

დი პრობლემაა კაპიტალი, კაპიტალისტური ურთიერთობის სწორათ მეფასება და გაგება.

არის ორნაირი შეხედულება კაპიტალზე: ვულგალური, ბურჟუაზიული ეკონომისტების და მეცნიერული ანუ მარქსისტული.

პირველი გაგებით. კაპიტალია ყოველნაირი საწარმოო საშუალებები, ფაბრიკა, ბანკი. სახელოსნო, დუქანი, მიწა, მანქანა, ოთხფეხი პირუტყვი და სხ. მაშასადამე, კაპიტალისტია ყველა, დაწყებული ფაბრიკანტით და გათავებული გლეხით. ბოლშევიკებმა დაიჯერეს ეს და დაუდვეს ის საფუძვლათ თავის სოციალიზმს. მოახდინეს ექპროპრიაცია როგორც შეძლებული კლასების ისე მთელი ხალხის ქონების და ასე «მოსპეს» კაპიტალი, ე. ი. გაძარცვეს მთელი ხალხი და მის ქონებას თვითონ დაეპატრონენ.

მეორე გაგებით «კაპიტალია არა პერსონალური, არამედ სოციალური ძალა», ის «კოლექტიური ნაყოფია: მისი მოხმარა შეიძლება მხოლოდ მრავალ ინდივიდთა ძალღონის შეერთებით, საბოლოოთ, ყველა ინდივიდთა, მთელი საზოგადოების ძალღონით». (კომ. მან.).

კაპიტალის წყაროა მთელი საზოგადოების ეკონომიური აქტიობა, მისი ეკონომიური თვისნობა, ენერგია და შრომა, რის შედეგია და მატერიალური გამოხატულებაა სხვადასხვა საწარმოო საშუალებები და დაწყობილობა. ეს მთელი ერის ეკონომიური საქმიანობა ხდება კაპიტალათ იმდენათ რამდენათ მისი ნაყოფი გროვდება კერძო პირთა, კაპიტალისტების ხელში, და რის საშუალებით წარმოებს ექსპლუატაცია მუშის და მთელი საზოგადოების. სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც რჩება თვით მის შემქმნელთ და ხდება პირად სასმარ და სამუშაო საშვალებათ აღარ არის კაპიტალი. მისი პატრონი არ არის კაპიტალისტი. აქედან ძირითადი სოციალური ამოცანა: არაკაპიტალისტების, ე. ი. მთელი ხალხის შრომის და ნაშრომის დაცვა კაპიტალისტებისაგან

და მისი მოხმარა თვით ხალხის სასარგებლოთ. დღევანდელი ეკონომიური და ფინანსიური კანალები, რომლითაც სოციალური ძალა მიჩქეფავს კაპიტალისტების წისქვილზე უნდა იქნას შეცვლილი სახალხო კანალებით, რომლითაც იჩქეფს იგივე ძალა ხალხის საკეთილდღეოთ.

ამნაირათ, კაპიტალის წარმოშობა განვითარებულ სამრეწველო საზოგადოებაში განისაზღვრება ორი საფეხურით: პირველი ეტაპია, კერძო პირთა მუშაობა და ნამუშიერის ერთი ნაწილის, რაც მოხმარებას გადარჩება, დაგროვება; მეორე ეტაპია, ამ დაგროვილი სიმდიდრის თავის მოყრა ფინანსიური დაწესებულებების საშვალებით და წარმოებაში ჩადება, დღეს ეს უკანასკნელი საფეხური სავსებით ბურჟუაზიის ხელშია, ხვალ ის უნდა გამოერთვას მას და გადავიდეს საზოგადოების ხელში მაშასადამე, არც ერთი ეს ეტაპი არ იშლება. პირველი რჩება ხელშეუხებლათ, როგორც აქტივობის ბაზა, მეორე რჩება აგრეთვე ხელშეუხებლათ, როგორც მიუცილებელი ელემენტი წარმოებისა; იცვლება მხოლოდ უკანასკნელის ფორმა, კერძო პირთა ალაგს იჭერს საზოგადოება; კაპიტალი, მაშასადამე, ხდება საზოგადო საკუთრებათ; ის გაპოხიერებული და გამრავლებული უბრუნდება მის მომცემს —ხალხს. არსებული ზაოდები და ფაბრიკები, თუნდაც დარჩეს კერძო საკუთრებაში, თავისთავად დაჭკნება და გაჩერდება როგორც კი მისი საკვები წყარო—სოციალური კაპიტალი—მათ დაეხშობათ; ყველა კერძო ბანკი დაიხურება როგორც კი საზოგადოება მას თავის ფულს არ მიაბარებს და უფრო საიმედო, სახელმწიფოს გარანტიით, მსესხებელს მიაგნებს.

სოციალური საკითხის ასე გაგება ნიშნავს დარჩენას დემოკრატიის ძირითად ხაზზე—ადამიანის ცნობის როგორც ბატონის და პატრონის თავის თავის, თავის შრომის, ნაშრომის და მოფიქრების. ამ ნიადაგზე დგას ყველა დემოკრატია, იმ განსხვავებით,

რომ ამ პრინციპს ბურჟუაზია ამუშავებს თავის სასარგებლოთ. ხოლო პროლეტარიატს სურს ის აამუშავოს ხალხის სასარგებლოთ. ამ გაგებით პროლეტარული დემოკრატია ამავე დროს მჭიდროთ ეკავშირება ხალხის ყველა ნაწილებს, ნამდვილ ნაციონალურ დემოკრატიას, და სცნობს რა მის ინდივიდუალურ საქმიანობას და ეკონომიკას, გამოდის მის მეთაურათ, მისი შრომის მფარველათ. ასეთია ნამდვილი ხალხური და პროლეტარული დემოკრატიზმი. ამ ხაზზე პროლეტარიატის როგორც კლასის, დარაზმვა, მისი მთლიანობის ამ გზით დაცვა ჯგუფური მოძღვრების და პოლიტიკის მისი წრიდან განდევნა გიდაიქცა დღეს მუშათა მოძრაობის საჭირ-ბოროტო კითხვათ. ამ ხაზის გარღვევა და ჯგუფური დროშის აღმართვა ბოლშევიზმის სახით უეჭველია არის რეაქცია წინააღმდეგ პროლეტარიატში შემოჭრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიული იდეოლოგიისა. პროლეტარული დემოკრატია იმიჯნება რა მკაცრათ ამ ანტიდემოკრატიულ ოლიგარხიულ მიმდინარეობისაგან, უნდა გაიმიჯნოს ასეთივე სიმკაცრით ბურჟუაზიული დემოკრატიზმისაგან და დარჩეს თავისი ბუნებრივი, სტიქიურათ მომდინარე ძირითად დემოკრატიულ ტენდენციების საფუძველზე. ე. ი. პროლეტარიატის სოციალურმა ბუნებამ უნდა პოვოს თავისი შესაფერი გამოხატულება დემოკრატიულ იდეოლოგიაში. რაც უფრო მეტი ჰარმონიაა კლასის საწარმოვო მდგომარეობის და მის პოლიტიკურ გაგებას შორის, მით უფრო მთლიანი და ნაყოფიერია მისი ბრძოლა და მოძრაობა.

პროლეტარული დემოკრატიზმი აგებულია არა ინდივიდუალურ შრომაზე და ბრძოლაზე, არამედ კოლექტიურზე. მაშასადამე, მისი ძლიერების მატარებელია არა პიროვნება, არა ცალ-ცალკე დაყენებული ინდივიდები, არამედ მათი შეერთება და აქედან გამომდინარე მისი სოციალური ძალა. ბურჟუ-

ახიული დემოკრატიზმი კი პირიქით აგებულია სწორეთ ინდივიდზე, საზოგადოების ცალკე პიროვნებათ დაყოფაზე, მათ შორის კავშირის დაშლაზე, კლასიური და პროფესიონალური ერთობის უარის ყოფაზე—ერთი სიტყვით, მთელი ნაციონალური სხეულის ატომებათ დაჭრაზე და დარღვევაზე. პროლეტარიატი ბუნებრივათ კოლექტივისტია, ბურჟუაზია ინდივიდუალისტი. ამ მდიდარი და ძლიერი კლასის მიშველა თვითეულ პიროვნებასთან ეკონომიური და პოლიტიკური მიზნით ნიშნავს მისთვის წინასწარ მიცემას გამარჯვების ყველა პირობების. სანამ მუშა ინდივიდუალურათ იდგა მის წინაშე, მანამდე იძულებული იყო მიეღო შემოძლეული ხელფასი და შრომის სხვა პირობები. მისი მდგომარეობის გაუმჯობესობა, მისი კულტურის საფეხურზე მაღლა აწევა იწყება იმ დღიდან, როცა ის კაპიტალისტს ეპირდაპირება არა ინდივიდუალურათ, არამედ კოლექტიურათ, კლასიურათ. მაგრამ ხალხის დანარჩენი ნაწილები დღესაც ინდივიდუალურათ ეპირდაპირება ბურჟუაზიას; მოკლებული ერთობას და კლასიურ ორგანიზაციას ის მუდამ დაჯაბნებული რჩება.

თუ კი პროლეტარიატის ბრძოლის პრინციპია ეკონომიკაში კოლექტივი, ცსადია იგივე პრინციპი უნდა ქონდეს მას პოლიტიკაში. ნამდვილათ კი მისი ბუნებრივი დემოკრატიზმი ამ ორ ხაზზე გარღვეულია და ის სხვადასხვა, მოპირდაპირე ფორმებში გამოხატულია, კოლექტივისტი ეკონომიკაში, ინდივიდუალისტია პოლიტიკაში. მან უარყო ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგია, მაგრამ მიიღო მისი დემოკრატიული იდეოლოგია, ე. ი. მან მოიმოქმედა სავსებით წინააღმდეგ თავისი სოციალური ბუნებისა და პოლიტიკურ ასპარეზზე ჩავარდა უძლურ მდგომარეობაში.

წარმომადგენლობითი სისტემა დაყრდნობილი ინდივიდუალურ საარჩევნო სისტემაზე მთავარი ია-

რაღია ბურჟუაზიის ბატონობის. ნიშნობლივი თვისებაა მისი დემოკრატობის.

წარმომადგენლობითი სისტემის შესუსტება ხალხის პირდაპირი პოლიტიკური ჩარევით (რეფერენდუმი, საკანონმდებლო ინიციატია და სხ.) და საარჩევნო სისტემა დაყრდნობილი კოლექტივზე, სოციალურ ერთეულებზე—პროლეტარული დემოკრატიის გეზია.

დღეს თითქმის ყველა კლასს და ჯგუფს აქვს თავისი საკუთარი ეკონომიური ორგანიზაციები, თავს იყრიან პროფესიის მიხედვით. ამ ტენდენციის გამ·ლა. მის ფარგალში მთელი ხალხის შეყვანა ყველა სელობის და დარგის ადგილობრივი და ცენტრალური სინდიკატების შექმნა მოგვცემს სახალხო დემოკრატიის ურყევ ფუძეს. ეს იდეა წამოაყენეს სინდიკალისტებმა. მას ჩაებღაუჭა ფაშისტები, მისცეს საშუალო საუკუნის კორპორაციის ხასიათი, მით შერყვნეს და აამუშავეს დემოკრატიის წინააღმდეგ დესპოტიის გასამაგრებლათ; ამას, რასაკვირველია. არაფერი საერთო არ აქვს პროლეტარულ დემოკრატიასთან. როცა პარლამენტი გახდება კრებული კოლექტივების მიერ არჩეული დეპუტატების. თანახმად მათი პროფესიისა და წევრთა რაოდენობისა, ის მართლა გადაიქცევა ხალხის ორგანოთ, მატარებლათ ხალხის სუვერენობისა. მაშინ ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა გათავდება, სახალხო დემოკრატია აღსდგება.

ამნაირათ, პროლეტარული დემოკრატიის ძირითადი პრინციპი საესებით ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ დემოკრატიისას. ეს ორი სხვადასხვა პოლიტიკური მსოფლმხედველობაა. ამ საფუძველზე შენდება ორი სხვადასხვა პოლიტიკური მეთოდი, ბრძოლისა და გამარჯვებისა.

6. დემოკრატიული მეთოდი.

არსებობს, როგორც დავინახეთ, ორი დემოკრატიზმი: ბურჟუაზიული და პროლეტარული, რომელთა პრინციპები, ფორმები და პოლიტიკურ-სოციალური მიზანი სავსებით ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. აქედან თავისთავათ ცხადია, რომ მათი ბრძოლის წესები, მათი მეთოდი არ შეიძლება იყოს ერთნაირი. ტაქტიკა ეწოდება მოქმედების იმ საშუალებებს, რომლითაც სურთ მიზნის მიღწევა. ბურჟუაზიის მიზანია დაიცვას თავისი გაბატონებული მდგომარეობა, თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება; პროლეტარიატის ინტერესია პირიქით, დაამხოს ეს მისი მდგომარეობა და მის ალაგას გაბატონოს დაჩაგრული ხალხის ნამდვილი უფროსობა. ერთია მიზანი კონსერვატიული, მეორეა—რევოლიუციური. ამ ორი სხვადასხვა მხრით მიმართული მიმდინარეობის ერთ უღელში შებმა, ერთ ტაქტიკაში მოთავსება, მოძრაობის ერთ ჩარჩოში ჩაყენება—აშკარა, ბუნებრივი შეუსაბამობაა.

ბურჟუაზიული დემოკრატიის მეთოდია: აწარმოვოს თავისი საქმეები არსებულ პოლიტიკურ ფორმებში, ვინაიდან ეს ფორმები მისი ფორმებია, მისი ბატონობის გარანტიაა. ამიტომ ბურჟუაზიული დემოკრატია პარლამენტარული დემოკრატიაა. ლეგალური ფორმების მატარებელი და დამცველია. ასეთია საზოგადოთ გაბატონებული კლასის პსიხოლოგია და ბრძოლის ფარხმალი. დაჩაგრული კლასების პსიხოლოგია და ბრძოლის საშუალებები გამოდის ამ ფორმების ფარგლებიდან, ეძებს ახალ გზას და მიზანშეწონილ ფარ-ხმალს მათ გარეთაც, არალეგალურ, რევოლიუციურ ტალღებში. თვითონ ბურჟუაზია ამ უკანასკნელ გზას ადგა თავის გაბატონებამდე. ის საუკუნოების განმავლობაში აწარმოებდა ლეგალური ბრძოლის გვერდით რევოლიუციურ

ბრძოლასაც. მისი სასამართლო უწყებებში დამკვიდრება, მარტო ლეგალური გზით თავის უფლებებისათვის ბრძოლა არ გახდა მისი გამარჯვების გზათ და ხიდათ და იძულებული იყო ბოლოს და ბოლოს დიდი რევოლიუციით დაენგრია ძველი წყობილება. მისი რევოლიუციები 1830 წ., 1848 წ., 1870 წ. მოწმობენ ამ კლასის უაღრესათ რევოლიუციურ მეთოდს ბრძოლისას და გამარჯვებისას.

მაშასადამე, ბურჟუაზიული დემოკრატია, ეს ბურჟუაზიის ბატონობის პოლიტიკური ფორმა, ნიშნავს, ლეგალიზმს, არსებული დაწერილი კანონების ფარგლებში მომწყვდევას, მთელი საზოგადოებრივი ბრძოლის პარლამენტარიზმის ჩარჩოში ჩატევას, გაბატონებულთა და კმაყოფილთა იურიდიული ნორმების საყოველთაო ნორმათ გადაქცევას.

პროლეტარიატი, როგორც ყველაზე უფრო დაჩაგრული კლასი დღევანდელი საზოგადოებისა, არასოდეს არ მდგარა ამ ტაქტიკურ ხაზზე; ეს მისთვის ბუნებრივათ, სტიქიურათ მიუღებელია. არა თუ მისი რამოდენიმეჯერ რევოლიუციური ცდა ბურჟუაზიის დასამარცხებლათ, არამედ ყოველდღიური ბრძოლაც თავისი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არ ჩატეულა და ვერ ჩაეტევა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმებში. მუშა იძულებულია სადაც მოლაპარაკება არ სჭრის ძალა დაატანოს თავის პატრონს პირდაპირი მოქმედებით, მიმართოს გაფიცვას, ბოიკოტს და სხვ. პროლეტარიატის დიდ ისტორიულ გაფიცვებს არა ერთი და ორი კონსტიტუცია შეურყევია და ზოგი მისი ანტიხალხური წესები შეუცვლია, არა ერთი და ორი ქვეყანა უხსნია რეაქციისაგან და მემარჯვენეთა გადატრიალებისაგან. საზოგადოთ, მუშათა კლასის ეს ბასრი ხმალი უდიდესი დარაჯია დემოკრატიისა. დაჩაგრული კლასის მიერ რევოლიუციური მეთოდის ხმარა არასოდეს არ ყოფილა სადაო ჩაგრულთა წრეებში. ეს გახდა სადაოთ მხოლოდ ახლა, ომის

შემდეგ, რაიცა ნიშნავს ბურჟუაზიული ტაქტიკური მსოფლმხედველობის პროლეტარიატში ფართეთ შემოჭრას.

ბურჟუაზია ცდილობს ხალხის სუვერენიტეტი შეასუსტოს, მინიმუმამდე დაიყვანოს და ამის საუკეთესო საშუალებათ სამართლიანათ მიაჩნია პარლამენტარიზმი; ოთხ წელიწადში ერთხელ, ერთ დღეს ეს «სუვერენი» სუვერენობს ქაღალდზე, საარჩევნო ბიულეტენით, დანარჩენ დროს კი ფაქტიურათ სუვერენობენ მისი ვექილები, ენაწყლიანათ მეტყველნი, სრულიად მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ. მთელი დემოკრატიის ამ ფორმაში მოქცევა, ხალხის მრთელი ბრძოლის და მოძრაობის «ბიულეტენით» განსაზღვრა შეადგენს გაბატონებული კლასის სულისკვეთებას. ის იძულებულია იცნოს დემოკრატია, მაგრამ მისებური, გამრუდებული, ანტიხალხური. ბურჟუაზიული დემოკრატიის პოლიტიკური კონცეპციის გავრცელებამ პროლეტარიატში დაბადა მისი ტაქტიკური კონცეპციის გავრცელებაც. ეს ორი მიმდინარეობა ერთათ ვითარდება, როგორც ერთათ გადაჯაჭვული ორი რგოლი. ორივე ეს ერთნაირათ ეწინააღმდეგება პროლეტარიატის სოციალურ ბუნებას, მის საწარმოო და საზოგადოებრივ მდგომარეობას.

პროლეტარული დემოკრატიის ბრძოლის მეთოდი იყო პირველათ რევოლიუციური, ხოლო პარლამენტი გახდა გაბატონებული კლასების ბრძოლის ასპარეზათ. ამიტომ კომ. მანიფესტი აღიარებს მუშათა მოძრაობის ერთათ ერთ რევოლიუციურ მეთოდს. შემდეგ გერმანიაში იწყება მუშათა მონაწილეობა პარლამენტში და იქ სოციალისტური ფრაქციის დაარსება. პროლეტარული მოძრაობის ეს მეორე შესაძლებლობა გავრცელდა ყველგან და გახდა უდიდეს საპროპაგანდო და საორგანიზაციო იარაღათ. ეს იყო დამატება პირველი მეთოდის და არა მისი შეცვლა და გაუქმება, ე. ი. პროლეტარიატის

ტაქტიკა შეიცავდა ორ მხარეს: რევოლიუციურს და პარლამენტარულს. ორივე ეს არის მისი დემოკრატიული, ე. ი. ხალხური მეთოდი, ვინაიდან ორივეს აწარმოებს უაღრესათ დემოკრატიული კლასი—პროლეტარიატი. პარლამენტარიზმის განვითარებასან ერთათ—ხდება ამ ახალი მეთოდის გაზვიადება, გაბერვა და სოციალური ბრძოლის გადამწყვეტ მომენტათ დასახვა. გაბატონდა ის აზრი რომ წმინდა პარლამენტარული გზით, საარჩევნო წესებით, სოც. დეპუტატების უმრავლესობის შედგენით შეიძლება ბურჟუაზიის ბატონობის დაცემა და პროლეტარიატის გამარჯვება. დემოკრატიული მეთოდი იქნა აღიარებული პარლამენტარულ მეთოდათ. პროლეტარული სოციალიზმი პარლამენტარულ სოციალიზმათ. ამ დებულების თეორიული საფუძველია ძველი იდეალისტური მსოფლმხედველობა: პოლიტიკური წყობილება სათავეა, სოციალური წყობილება ზედშენობა. ამ შეხედულობის უსაფუძვლობა ყოველდღე საბუთდება ფაქტებით. სოციალისტების პარლამენტარულ ხელისუფლებამ ვერსად ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა სოციალურ ძალთა განწყობილებაში. პროლეტარიატი პოლიტიკურათ ზოგ ქვეყანაში ბატონობს ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმებში. ხოლო სოციალური რეჟიმი კი იქ ურყევია. ეს გარემოება არ აიხსნება პიროვნებათა თვისებებით, მართველთა ღალატით ან დაბნევით. ეს აიხსნება თვით მეთოდის შეუძლებელობით, მისი სიყალბით და უნიადაგობით. არსებული პოლიტიკური წყობილება არის გამოხატულება ერის რეალური მდგომარეობის, მისი შინაგანი სოციალური ურთიერთობის. სახელმწიფო მხოლოდ ადასტურებს იმას რაც არის. «იდეია რომ სახელმწიფოს პოლიტიკური აქტი არის ისტორიის გამსაზღვრელი წარმოადგენს ისეთივე სიძველეს, როგორიც თვით ისტორიოგრაფიაა», სწერს ენგელსი ამ ძველი აზრის მქადაგებელის დიურინგის წინააღმდეგ. «ეს იდეია ბატონობდა წა-

სულში მთელ ისტორიულ მოძღვრებაში და ის შეარყია მხოლოდ რესტავრაციის ხანაში საფრანგეთის ბურჟუა-ისტორიკოსებმა» *). აი ეს ძველი იდეია ახლა ისევ აღდგა და პროლეტარულ პოლიტიკაში პირველი ადგილი დაიპირა: სოციალისტურ-პარლამენტარული მთავრობა გამოსცემს აქტებს და სოციალიზმს დაამყარებსო! სინამდვილეში, ისტორიის მთელ სივრცეზე არ არის არც ერთი მაგალითი რეჟიმის ასე იდილიურათ, კანონიერათ შეცვლის, და ეს არა თუ ეკონომიურის, არამედ პოლიტიკურისაც. ყველა არსებული თუ დაღუპული რეჟიმი შეიცვალა რევოლიუციური გზით; პროლეტარიატმა საარჩევნო უფლებაც კი ვერ მოიპოვა ლეგალურათ, საპარლამენტო ბრძოლით (ბელგია, ავსტრია და სხ.). სოციალისტური კი არა, ჰერიოს რადიკალური კაბინეტი დასცა ამ ოთხი წლის წინეთ ბურჟუაზიამ ფინანსიური მანიოვრებით. გაბატონებული კლასები ამ «პარლამენტარულ კრეტინიზმს» პროლეტარიატისათვის ქადაგებენ, თვარა თავისთვის მას სრულიადაც არ სცნობენ, თავის ბატონობის შესარჩენათ მიმართავენ არაპარლამენტარულ მეთოდებს. მრავალჯერ საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული ბულანჟე ფერის სამინისტრომ სახელმწიფო მოღალატეთ გამოაცხადა და პოლიციურათ ანგარიში გაუსწორა. გერმანიის რეაქცია იმარჯვებს დღეს სწორეთ ამ საპარლამენტო ბრძოლის უკუგდებით. ერთი სიტყვით, რეჟიმის შეცვლა ითხოვს ძალთა განწყობილების შეცვლას, ძალთა განწყობილება იცვლება რევოლიუციური გზით, მთელი დემოკრატიის ამოძრავებით და ძალაუფლების დაპყრობით. ფონ-პაპენმა ეს პოლიტიკური ანბანი ძალიან კარგათ იცის. მან პრუსიის სოც. დემ. მთავრობის გარეკისთანავე სამხედრო წესები გამოაცხადა ბერლინში და მოემ-

*) M. F. Engels. M. E. Dühring boulverse la science, t. II, edition Costes. 1932.

ზადა შეძენილი უფლების ძალით დასაცავათ. ხოლო გარეკილ ხელისუფლებამ კი ამ ძალის წინააღმდეგ მიმართა... სასამართლოს!

ამნაირათ, თვითეულ მეთოდს თავისი ადგილი აქვს ბრძოლაში; პარლამენტარული ფორმა ამზადებს ხალხს იდეიურათ და ორგანიზაციულათ პროლეტარიატის დროშის ქვეშ; ის ქმნის რეფორმების შესაძლებლობას, ბურჟუაზიის სუფრიდან ნამცეცების ხალხის სასარგებლოთ გატაცებას, ფართე მასების პოლიტიკურ აქტივობაში ჩაბმას და თავისი ინტერესების დაცვას; რევოლიუციური მეთოდი ქმნის შესაძლებლობას სოციალური რეჟიმის გადატეხისას, ბურჟუაზიის სუპრემატიის დაცემის და სახალხო დემოკრატიის და სახალხო ეკონომიის აღორძინებისას. ეს ერთი ტაქტიკური ხაზია, ერთი გზაა, რომელზეც დგას პროლეტარიატი ბუნებრივათ და თავის მოძოაობაში მიმართავს ხან ერთს, ხან მეორე საშუალებას, პირობების და მიზანშეწონილობის თანახმათ. ამ ხაზის პოლიტიკურ ასპარეზზე ამუშავება, ამ პირობების აწონ-დაწონვა და ბრძოლის საშუალებათა ამორჩევა არის საგანი პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისა.

7. სოციალისტური დემოკრატია.

სოციალისტური დემოკრატია არ ფარავს პროლეტარულ დემოკრატიას; ის ცდილობს იმდენად გაიზარდოს და გაფართოვდეს, რომ მთელი პროლეტარიატი შედიოდეს მის ფარგალში და ამ გზით მოახდინოს პარტიის და კლასის გაერთიანება. დღეს ის ნაწილია პროლეტარული დემოკრატიის და მისი მოთხოვნილებანი და ინტერესები გადააქვს სახელმწიფო მასშტაბით პოლიტიკურ ასპარეზზე. მაგრამ ვინაიდან ამ ასპარეზზე მასან მეზობლობენ სხვა კლასების ორგანიზაციებიც, აქ ხდება გამიჯვნა თუ და ახლოვება სხვა პარტიებთან. იქმნება სხვადასხვა საპარლამენტო კომბინაციები, დამოყვრება და არშიყობა; ცხადია ამით იღება ფართეთ ის კარები, რომლიდანაც პარტიაში შემოდის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური მსოფლმხედველობა და აქედან გადადის თვით პროლეტარიატში. ეს კლასი როგორც სოციალური ერთეული მუდამ დაპირდაპირებულია ბურჟუაზიასან. მათ შორის კარები დახშულია; სამაგიეროთ იგივე კლასი, პოლიტიკური დაჯგუფების შემწეობით, ღია არის მტერთა იდეიური გავლენის და არევ-დარევისათვის. ბურჟუაზიული დემოკრატიზმი სწორეთ ამ კარებიდან იკაფავს გზას პოოლეტარიატში და ის გადაყავს თანდათან თავის ტაქტიკურ ხაზზე. სწორეთ პარლამენტარული ბრძოლის აღორძინებით იწყება ძველი დემოკრატიული მეთოდის დატოვება და ახალის, ბურჟუაზიულის, მიღება. თვითონ პროლეტარიატი თავის კლასში, თავის ეკონომიურ ბრძოლაში ახლაც არ სცნობს ამ ახალ მეთოდს და მაგრათ დგას თავის ნაცად კლასიურ პოზიციაზე.

მეორე მხრით, სოციალიზმი არ იფარგლება სოციალისტური ინტერნაციონალით. ის გაცილებით უფრო ფართე, ღრმა და გარდაუვალი მოვლენაა, ვინემ მეორე. სოციალისტური ორგანიზაცია სოცია-

ლისტურია იმდენათ, რამდენათ მისი გეზი, საქმიანობა და მოძრაობა თან ატარებს სოციალისტურ მსოფლმხედველობას, რამდენათ მათ შორის მუიდრო მიზეზობრივი კავშირია. დღეს სოციალისტი ვინ არ არის, ყველა ამ მოძღვრებას ეპოტინება და მისი სახელით თავის მისწრაფებას ფარავს. კარგათ ნათქვამია: საქმენი შენი გაცსონებენ შენ. საქმით გამოიცნობა პოლიტიკური დაჯგუფება. ჩინებული დროშა არაფრათ არ ვარგა, თუ მისი განმახორციელებელი საშუალებები უვარგისია; მუშათა სტიქიური მოძრაობა, გარკვეულ სოციალისტურ მიზანს მოკლებული, გაცილებით მეტს აკეთებდა სოციალიზმისათვის, ვიდემ ასეთი მიზნით აღჭურვილნი ახალ მოდის დემოკრატიული მეთოდის მიმდევარნი. პარტია, პარტიათა შემადგენელობა და კავშირები იცვლება, მუდმივ გადასხვაფერებაშია, დროთა და გარემოებათა ამყოლია. არ იცვლება მსოლოდ სოციალიზმი. ის დგას სფინქსივით ურყევი კაცობრიობის შარა გზაზე და აიძულებს გამვლელ-გამომვლელთ მისკენ მოიხედონ. მას ანგარიში გაუწიონ. მისი სულით გაჟღენთილია თანამედროვე საზოგადოება. მის ფარგალში ტრიალებს საერთო აზროვნება, მის გამოყენებას ცდილობს მისი მოწინააღმდეგენიც თავის წისქვილის ასაბრუნებლათ. აქ ეშლება ფართო ასპარეზი ბურჟუაზიულ დემოკრატიას სოციალისტური დემოკრატიის საშუალებით გაამრუდოს, გააყალბოს სოციალიზმიც, მისი ან აბსურდამდე მიყვანით, ან წვრილ რეფორმისმათ გადაქცევით. პირველი ამოცანა ჩინებულათ შეასრულა ბოლშევიზმა; სოციალიზმის საშინელი კარიკატურა გამეფდა კომინტერნში. მეორე ამოცანა ნიადაგს პოულობს სოც. ინტერნაციონალში. ამ მიმდინარეობის პირველი ამოსაღებია ტაქტიკა «უმცირესი ბოროტების».

ერთხელ თურმე მსაარულ მზარეულმა კითხა თევზს: როგორ გირჩევნია, შეგწვა თუ მოგხარშოვო. მისი ჯკუით თევზს უმცირესი ბოროტება უნდა აერ-

ჩია. საფრანგეთის სოციალისტებს კითხეს: ვინ გირჩევნია, ფერი თუ ბულანჟეო. მათ თევზივით წყალი არ უშლიდა ხმის ამოღებას და თამამათ მიუგეს: არც ერთი და არც მეორე. გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკასო! ეს იყო ძველათ, როცა დემოკრატიული მეთოდი ძველებურათ ესმოდათ. შემდეგ, აგერ ახლა, გერმანიის სოც. დემოკრატიას კითხეს: ანტიდემოკრატიული რეიხსტაგი გირჩევნია თუ კანცლერი ბრიუნინგიო, მან აირჩია უკანასკნელი. საპარლამენტო დადგენილებანი თუ ორდონანსები, აირჩია ორდონანსები, ჰიტლერი თუ ჰინდენბურგიო, აირჩია უკანასკნელი და ასე უმცირესი ბოროტების პოლიტიკამ იჩოჩა-იჩოჩა დაბლა და მიაღგა სამხედრო დიქტატურას. ამ ეამათ დასმულია ასეთი საკითხი: ჰიტლერის თუ ჰოჰენცოლერნების მთავრობა. მოიპოვებიან აქაც უმცირესი ბოროტების მიმდევარნი...

უმცირესი ბოროტების თეორია სავსებით გაკოტრდა. საზოგადოთ, ბოროტების არჩევა, თუნდაც უმცირესის, არ შეიძლება იყოს სოციალისტური დემოკრატიის პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა უეჭველათ მიმართულია მასის ინტერესების წინააღმდეგ. უამისოთ ხომ ის ბოროტებაც არ იქნებოდა, და მაშასადამე არის საუკეთესო საშუალება მასის ჩამოშორებისა, დაქსაქსვისა, იდეიური არევდარევისა და სოც. პარტიის განმარტოვებისა. პარტიის სამოქმედო ხაზი აშკარაა, გზა გაკაფულია: ის მხარს უჭერს ყველა რეფორმისტულ მიდრეკილებას, რაც კი მასის სასარგებლოთ მიიმართება, თუნდაც ის არ მიდიოდეს ჩვენსავით შორს. მაშასადამე, ის ძევს მისი კლასიური ბრძოლის ხაზზე და არავითარ ბოროტებას არ შეადგენს. მხოლოდ ეს პრინციპიალური მოსაზრება უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკური მიხვევ მოხვევის გადამჭრელი საზომი. მაგრამ აქ მუშაობს მეორე მოსაზრება, რაიცა რევს მთელ ტაქტიკას. ეს არის პასუხისმგებლობის საკითხი. წინეთ სოც. დემოკრატია

წარმოადგენდა მცირე, პროპაგანდისტულ ორგანიზაციას, მოკლებულს სახელმწიფო საქმეებში პასუხისმგებლობას. ახლა კი ის სახელმწიფოს ერთი მესაუთაგანია და შესაფერი პასუხისმგებლობაც აწევს. ეს მოსაზრება ფაქტების მხრით მართალია. ხოლო ნიშნავს ეს პროლეტარული დემოკრატიის მეთოდის და პრინციპების დატოვებას და ბურჟუაზიულ დემოკრატიის გემში გადაჯდომას? და თუ არა, ცხადია ახალი არაფერი მომხდარა პროლეტარიატის რიგებში, გარდა მისი გავლენის გაზრდისა. სოციალისტური დემოკრატიის პასუხისმგებლობა გაიზარდა დიდათ პროლეტარიატის და მთელი ხალხის წინაშე იმ მხრით, რომ მას მიეცა საშუალება ამ დაჩაგრულთა სასარგებლოთ სახელმწიფო აპარატი აამუშაოს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს. რამდენათ ის ამას სჩადის, რამდენათ ხალხის მდგომარეობა მათი მეოხებით უმჯობესდება, იმდენათ მისი დამსახურება დიდია და პასუხისმგებლობა გამართლებულია. მაგრამ პასუხისმგებლობა გაბატონებულთა პოლიტიკის და საქმიანობისათვის, გამოსწორება მათი შეცდომების მათივე ნიადაგზე, ე. ი. მათ მაგიერობის გაწევა, მათ ტეხნიკურ აპარატათ გადაქცევა—ეს უკვე დატოვებაა საკუთარი გზის და საკუთარი მსოფლმხედველობის. გერმანიის დამარცხებულ იმპერიალისტებმა ხელი დაიბანეს. განზე გადგენ და მათ მიერ არეულ-დარეული საქმეები გერმანიის დემოკრატიას ჩაუტიეს მოსაგვარებლათ *). აქ იყო ორი გზა: ან ძველ საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე დარჩენა და საქმეების ძველ კალაპოტში ჩამოლაგება, ან ახალი სოცი-

---

*) შეიდემანის მოწმობით ვილჰელმის და მისი წრეების მართველობის ასპარეზიდან გასვლა მოხდა ანტანტის მოთხოვნილებით. ვილსონს უარი განუცხადებია ამ ხალხთან ზავზე მოლაპარაკების დაწყებაზე. («ფორვერტსი», 9 ოქტ. 1932).

ალური ურთიერთობის დამყარება. ძველი ნაგავის სავსებით გადათრევა და ამ ახალ საფუძველზე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ინტერესების დაწყობა. ე. ი. შექმნა შინაური ცვლილებებით ახალი საზოგადოების, ახალი ერის, სახალხო სახელმწიფოს და სახალხო ეკონომიის და წადგომა გამარჯვებულ უცხოეთის წინაშე ახალი დროშით და ახალი პროგრამით. ნამდვილათ მოხდა წინაამდეგი, საგარეო მომენტი გადაიქცა საშინაო პოლიტიკის გამსაზღვრელ მომენტათ, შინაური სიდუხჭირე და სატკივარი დაიჩრდილა, საგარეო სატკივარი გაიბერა. ყველა კლასის ერთი ფრონტი შედგა და ნაციონალური დროშით უცხოეთს დაუპირდაპირდა. ნაციონალიზმი გაიზარდა და შინაგანი რეაქციის გზათ და ხიდათ გახდა. ვიქტორ შიფი ასე ასწერს ამ პროცესს:

«13 წლის წინეთ მთელ გერმანიის ხალხში გაისმა ყიჟინა აღდგომის. შელახულმა უფლებრივ გრძნობამ გარდაქმნა გერმანია მართლა ერათ. მხოლოდ მომავალი თაობა მიხვდება რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ შესძლო მუშა-ხალხის სახელმწიფოსან მორიგება. მწარე მოგონება ვილჰელმის კასტიური მართველობის, სამკლასიან საარჩევნო უფლების ძველ თაობაში ისე მაგრათ იყო ფესვგადგმული, რომ საჭირო იყო არა მცირედი შრომა მუშათა დასაჯერებლათ, რომ მას დაედასტურებია კაპიტალისტური რეჟიმიანი სახელმწიფო. ეს იყო შესაძლებელი იმიტომ რომ ამასობაში გერმანია გადაიქცა ვეიმარის სახელმწიფოთ, რომლის კონსტიტუცია თავის საშოში ატარებდა აგრეთვე მომავალი სოციალისტური საზოგადოების წინასწარ პირობებს. დაადასტურა რა მუშათა კლასმა სახელმწიფო, დაადასტურა სამშობლო. მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი წარმოება გმირული საგარეო ბრძოლის 12 წლის განმავლობაში ვერსალის უსამართლობის გასაქრობათ... ეს იყო ბრძოლა გერმანიის უფლებისათვის მსოფლიოში» და სხ. («ფორვერტსი», 17 აკვ. 1932).

ფაქტები სწორათ გადმოცემულია, სოციალდემოკრატია თავის მუშაობის ცენტრში აყენებს საგარეო მომენტს, ქმნის ერთ ნაციონალურ ფრონტს ვერსალის წინააღმდეგ. და როცა ეს საქმე საკმაოთ გამოსწორდა. ვეიმარის კონსტიტუციის საშოდან წარმოდგა არა სოციალისტური. არამედ აგრარიული მთავრობა, აღსდგა ძველი იმპერიალისტური ძალა, ამდენხანს კულისებში გაჩერებული და შესაფერი მომენტის აუჩქარებელი მომლოდინი, აღსდგა გაუტეხელი იმავე ნაციონალური დროშის ქვეშ და გვარიან უცერემონიოთ წესი აუგეს ვეიმარის ილიუზიებს.

ასეთია საქვეყნო ისტორიული ნაყოფი ომის შემდეგ მოაზრებული დემოკრატიული მეთოდისა, რომლის მსხვერპლი ხდება პირველ ყოვლისა თვით პროლეტარული დემოკრატია. პარლამენტარიზმის. ე. ი. სიტყვიერი ბრძოლის და დაწერილი აქტების პანაცეიათ გამოტანა. დემოკრატიის მთავარ ფარხმალათ აღიარება და ამ იარაღით აბობოქრებულ კაცობრიობის მორევში საბრძოლველათ შესვლა— აი მთავარი მიზეზი პროლეტარიატის დღევანდელი დანაწილების. დაძაბუნების, უკმაყოფილების და დაქსაქსულობის. ეს დანაწილება პოლიტიკიდან გადავიდა მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებშიაც, კლასის იდეიური და პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა მთელ ხაზზე, ყველა მისი მოქმედების სფეროში. მის წიაღში მარჯვნივ და მარცხნივ შეხეთქა უცხო ტალღებმა, ნამდვილი დემოკრატიის ყველა ჯურის მტრებმა. ამათ მოხერხებულათ ისარგებლეს სოციალისტური პარტიების იდეიური დაუძლურებით და მათ წინააღმდეგ აამოძრავეს ხალხის ფართე ნაწილები. ამ ტალღებმა ვერ შეხეთქა მხოლოდ ერთი კარი პროლეტარული შენობისა, ვერ შერყვნა ერთი მისი იდეიური საფუძველი და მით მისი დამოუკიდებლობა და ძლიერება რჩება ხელშეუხებელი. ყველა დემოკრატია, პრიმიტიული, კლასიკური,

ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული იყო და არის იმპერიალისტური. ისინი თავისუფლებას და თანასწორობას სცნობენ მხოლოდ თავის ერის შვილები სათვის, თავისი სამშობლოს მოქალაქეთათვის, ხოლო სხვა უცხო ერთ იმორჩილებენ და თავის საწველ ფურათ ხდიან. ერთათ ერთი პროლეტარული და სოციალისტური დემოკრატია შეადგეხს გამონაკლის და დღესაც ისე როგორც წინეთ აღიარებს: «ნაციონალური განთავისუფლება არის წინასწარი პირობა ეკონომიური და სოციალური განვითარების» (სოც. და სინდიკ. ინტერნაციონალთა რეზოლიუცია 21 ივნისის, 1932 წ.). აი ეს დებულება შეადგენს მხოლოდ მის საკუთარ, მის დამახასიათებელ აზროვნებას, მის უდიდეს იდეალიზმს და თავის დადებას. აი ეს დროშა მას ვერ შეურყვნა ბურჟუაზიულ დემოკრატიამ. აქ ის აღმოჩნდა მედგარი, მტკიცე და ურყევი. ეს ხდის პროლეტარიატს ნამდვილ დემოკრატიათ. ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ერთგულ მეთაურათ, გულწრფელ მეგობრათ.

8. სახელმწიფო დემოკრატიაში.

ინგლისის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა ჰერბერტ სპენსერმა ბურჟუაზიის დოქტრინას სახელმწიფოზე მოკლეთ თავი მოუყარა ერთ პატარა წიგნში და გამოთქვა ამ სათაურით: ინდივიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ!

სოც. ინტერნაციონალის გამოჩენილ მეთაურმა ემ. ვანდერველდემ პროლეტარიატის შეხედულება ამავე საგანზე გამოხატა თავის წიგნში ასეთი სხარტული სათაურით: სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ!

ორივე თხზულებაში დასაბუთებულია, სხვადასხვა მოტივებით რასაკვირველია, ერთი და იგივე დებულება—ბურჟუაზიის და პროლეტარიატის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი. ასეთია ამ ორი თანამედროვე კლასის სახელმწიფო დოქტრინა.

როგორია სინამდვილე?

სინამდვილე იძლევა ამ დოქტრინის ძირბუდინათ დამარღვეველ სურათს. სახელმწიფო არა თუ არ სუსტდება, პირიქით, ის თანდათან ძლიერდება. მისი გავლენა ფართოვდება. ის მოქალაქეთა ცხოვრების ყველა კუნჭულში იჭრება, ადამიანის თვითეულ ნაბიჯს თავის კონტროლს უქვემდებარებს, მის ჯიბეს, მის ნამუშევარს, მის შემოსავალ გასავალს თავის ანგარიშებს უმორჩილებს—ერთი სიტყვით, ის ხდება ზღაპრულ მაჯლაჯუნათ, მთელი თავისი სიგრძე სიგანით ერზე გადაწოლილი.

დემოკრატიის მუდმივი მოთხოვნილებაა იაფი მართველობა. სინამდვილეში კი ეს მართველობა ძვირდება დემოკრატიის აღორძიხებასთან ერთათ. ყველაზე უფრო ძვირი მართველობაა სწორეთ დემოკრატიული. მაშასადამე, ბურჟუაზიული დემოკრატია ნიშნავს სახელმწიფოს როლის გაზვიადებას,

მის ხალხის ტვირთად გადაქცევას. ძვირ სამართველო აპარატს, ერთი სიტყვით, ანტიხალხური სახელმწიფოს შექმნას. ცხადია ბურჟუაზიის ინტერესი მოთხოვს სწორეთ ასეთ პოლიტიკურ წყობილებას; ის ქმნის თავისი ბატონობის ორგანოებს თავის სახისამებრ. ამ მის პოლიტიკურ შემოქმედებაში ის განიცდის ღრმა ცვლილებას, ეტაპების მთელ რიგს, რომელთაგან უკანასკნელი სავსებით ეპირდაპირება წინანდელ, გავლილ, საფეხურებს.

სპენსერის დოქტრინა ხატავდა თავის დროის ბურჟუიულ მსოფლმხედველობას. მისი აღორძინება და განვითარება მოხდა ანტისახელმწიფოებრივი გზით, კერძო პირთა მიერ კერძო პირების ექსპლუატაციით და ეკონომიურათ დამორჩილებით. კაპიტალისტები ითხოვდენ მათ საქმეებში, მათ დამოკიდებულებაში მუშასთან და მუშტართან სახელმწიფოს ჩაურეველობას, იძულებითი აპარატებისათვის მაყურებელის როლის მინიჭებას, გარეგანი უშიშროების დაცვას, პოლიციური ფუნქციებით დაკმაყოფილებას. აი ამ ტენდენციას პირნათლათ ემსახურებოდა მაშინდელი სახელმწიფო. მაგ. ამ ასი წლის წინეთ, 1831 წ., საფრაგეთის პარლამენტმა გამოსცა 41 კანონი. ამათ შორის 31 მთავრობის ინიციატივით. 10 კი თვით პარლამენტის ინიციატივით. ნაკლები კანონი. ნაკლები მოხელე. ნაკლები გადასახადი—აი ამომავალი ბურჟუაზიის პოლიტიკური დროშა. ასეთი იურიდიული პირობები იძლეოდა თავისუფალ მოედანს მრეწველთა საქმიანობისათვის, ხალხთან მისავალი გზების გაფართოვებას, შრომა-კაპიტალს შორის დამოკიდებულების თავისუფლებას. რამდენათ, პროლეტარიატი თვითცნობიერდება, წელში იმართება, თავის ორგანიზაციებს აარსებს და უსაზღვრო ექსპლუატაციას საზღვარს უდებს, შრომის სამფარველო კანონების გამოცემით თუ პირადპირი ბრძოლით, იმდენათ კაპიტალისტები იძულებულნი არიან ამ ხიადაგზე დაკლებუ-

ლი შემოსავალი სხვა ნიადაგზე აინაზღაურონ და კაპიტალის დაგროვების ახალი წყაროები გაიჩინონ. აი აქ ჩნდება, რომ სახელმწიფო ერთი უძლიერესი წყაროა შეძლების დასაგროვებლათ, ხალხის ჯიბიდან უმტკივნეულოთ ქონების ამოსაზიდავათ და მის გასანაწილებლათ. ამუშავდა საკანონმდებლო ორგანოები, დატრიალდა კანონების კორიანტელი, გადასახადების საშინელი ტალღები. მაგ. 1920 წ. გამოდის საფრანგეთში 210 კანონი, 1923 წ. 277 და სხ., გარდა საბიუჯეტო კანონებისა. კანონთა პროექტების რიცხვი ათასობით ითვლება. რის მიღებას ვერ ასწრებს საპარლამენტო მექანიზმი. ასი წლის წინეთ სახელმწიფო ბიუჯეტი უდრიდა ერთ მილიარდს, ახლა კი აღწევს 45 მილიარდს. გადასახადები 1913 წ. შედარებით დღეს 21 ჯერ უფრო მძიმეა, ხოლო მუშის ქირა იმავე დროს გაიზარდა 7 ჯერ.

ახლა წარმოიდგინეთ სახელმწიფოს განვითარების მსვლელობა ასეთივე ტემპით. ის ას წელიწადში შესჭამს საზოგადოებას. დაიმონებს მას სულიანხორციანათ და გადაიქცევა იმ გაუმაძღარ ლეგენდარულ მოლოხათ, რომლის საკვებავათ და შესანახათ საჭირო იქნება მთელი ხალხის დღე-ღამიანი მუშაობა. ის უკვე შეუდგა მთელ თავის ძალ-ღონით დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრას, წაქცევას იმ ხისას, რომელზედაც დაყრდნობილია ხალხის სუვერენიტეტი. ის ნთქავს ადამიანის ნაშრომის დიდ ნაწილს, ბოჭავს მის ეკონომიურ აქტივობას, მის თავისნობას, მის ბატონობას და ხდის მას მართველობაზე სავსებით დამოკიდებულათ. ფაშიზმი აი ამ ტენდენციის განვითარებაა, მისი ლოგიკური დასკვნაა. თუ მოქალაქე არ არის თავის ნაშრომის გამგებელი, ცხადია ის არც თავის აზრის და რწმენის გამგე უნდა იყოს. ის ფორმალური თავისუფლება, რასაც ბურჟუაზიული სახელმწიფო სცნობს ადამიანში, უნიადაგო ზედშენობაა, ძველი განვლილი ეტაპის გადმოცემაა, შეუფერებელი დღევანდელ მდგო-

მარეობასთან. როცა ის ნივთიერათ სახელმწიფოს ყმობაში ჩავარდა. ახლა ამ დიდ ბატონს მიუმატეთ პატარა ბატონები, დემოკრატიის სხვა ორგანოები —მუნიციპალიტეტები, კომუნები. სადეპარტამენტო საბჭოები, რომელთა ბიუჯეტი ასეთივე ტემპით იზრდება, გადასახადები გადასახადებს ემატება. ცხადია, არსებული სისტემა მართველობისა აღემატება ხალხის ძალღონეს, ის მისთვის მძიმე ტვირთია და მაშასადამე არ შეიძლება იყოს მისი ორგანო, მისი ინტერესების და ახროვნების გამომხატველი. სახელმწიფო ბიუჯეტის სამი მეოთხედი სწორეთ ხალხის ჯიბიდან ამოდის არა პირდაპირი გადასახადების საშუალებით, ხოლო დანარჩენს იძლევა პირდაპირი გადასახადი და სახელმწიფოს ქონება*). ამ ვებერთელა თანხიდან ნამდვილი გადამხდელი—გლეხი, მუშა და წვრილი ბურჟუაზია—ვერაფერს ვერ იბრუნებს, ის სავსებით ნაწილდება გაბატონებულ კლასებში და წრეებში. ბანკირები, ფინანსისტები, ბირჟევიკები, სპეკულიანტები და მათი ლაშქარი—პოდრიანჩიკები, მრეწველნი და სხვილი კომერსანტები შეადგენენ იმ მთავარ არმიას, რომლის ჯიბეში გადადის ბიუჯეტის დიდი ნაწილი დემოკრატიული ორგანოების საშუალებით. მათ უკან მიყვება დიდის ბრძოლით და ვაივაგლახით მოხელენი, უმუშევარნი, პენსიონერები და ითხოვენ გაშლილ სუფრიდან ნამცეცების მათთვისაც გადმოგდებას. სახელმწიფო, ე. ი. გადამხდელი ხალხი, გახდა ობიექტი საყოველთაო ექპლუატაციის.

ამ ნაირათ. ბურჟუაზიული სახელმწიფო დღეს წარმოადგენს წინანდელის ანტიტეზას. კაპიტალიზმის სამრეწველო პერიოდში, ე. ი. როცა წარმოებაში ბატონობდა ინდივიდუალური, მრეწველობის პრო-

---

*) სახელმწიფო და სამუნიციპალო წლიური ბიუჯეტი უდრის დაახლოვებით ოთხმოც მილიარდ ფრანკს საფრანგეთში.

ცესიდან მოგებული კაპიტალი, სახელმწიფო ასრულებდა უმთავრესათ პოლიციურ ფუნქციას, იცავდა და მფარველობდა არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას. ხოლო თვითონ კი ამ პროცესში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა. სახელმწიფოს რაიმე ეკონომური აქტივობა გამოცხადებული იყო შეჩვენებულ სოციალიზმათ. რამაც უნდა დასჩაგროს საწყალი ბურჟუაზია. «კანალის ალაგას რკინის გზის გაყვანა უკვე სოციალიზმს ნიშნავდა», სწერს მარქსი 18 ბრიუმერში. ლიბერალური დოქტრინა სპენსერის აი ამ ხანას გამოხატავს.

კაპიტალიზმის მეორე პერიოდში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, წარმოების მთავარი მამოძრავებელი ღერძია არა ინდივიდუალური კაპიტალი, არა კაპიტალისტის პირადი ქონება, არამედ მთელი სოციალური კაპიტალი, ფინანსიურ დაწესებულებებში თავმოყრილი და შემდეგ მრეწველთა საქმეებში დაბანდებული ამ ფინანსიური კაპიტალის მოთხოვნილებას აღარ შეეფერება სახელმწიფო-პოლიცია, საზოგადო უშიშროების და კანონიერების მოდარაჯე; მას ესაჭიროება აგრეთვე სახელმწიფო—დამხმარე სოციალური კაპიტალის დასაგროვებლათ და მის განკარგულებაში დასაყენებლათ. ხალხის ნამუშიერის მობილიზაცია გადასახადებით. საბირჟო და საბანკო კანონებით, კრედიტის სახელმწიფო ბანკის მფარველობით, ახალ-ახალი სამუშაოების გამოწყებით და გაცემით და სხ. და სხ. აი რას ითხოვს დღეს ბურჟუაზია მართველობისაგან.

მთელი დღევანდელი ბრძოლა განიარაღების ირგვლივ არის უმთავრესათ ბრძოლა ხალხის დაყმობის შესამსუბუქებლად სახელმწიფოსადმი ბიუჯეტის შემცირებით. ომი პოლიტიკაა და არა ტეხნიკა, თუ საომარი პოლიტიკა მეფობს საზოგადოებაში—ომი აუცილებელია, თუნდაც ის შვილდ-ისარით იყოს შეიარაღებული. ბურჟუაზია ებრძვის განიარაღებას არა მა'მასადამე ომის მოსაზრებით, არამედ ბიუჯე-

ტის მოსაზრებით, ხალხის დაბეგვრის შემცირება მის ეკონომიურ ინტერეს არ შეადგენს.

სახელმწიფოს დანიშნულების ასე რადიკალურათ შეცვლა ბადებს მის ერთ უმძლავრეს თანამედროვე ტენდენციას—ეტატიზმს. თუ წინეთ მუნიციპალური აფთიაქიც კი სოციალიზმათ იყო გამოცხადებული, დღეს ასეთ «სოციალიზმს» ბურჟუაზია თვით აწარმოებს დიდის ენერგიით. სხვადასხვა წარმოების დარგების ნაციონალიზაციას დღეს ებრძვიან არა პრინციპიალურათ, არამედ მიზანშეწონილობით. საფრანგეთის სოციალისტების უკანასკნელი საარჩევნო პლატფორმამ რკინის გზის ნაციონალიზაციისა გამოიწვია კრიტიკა მხოლოდ ფინანსიური მოტივებით, სახელმწიფოს ტვირთათ დააწვებაო. ასეთივე მოტივებით ებრძვიან მრეწველობის მთავარ დარგების სოციალიზაციას, რაიცა ინგლისის და გერმანიის სოც. პარტიების მთავარი საარჩევნო პლატფორმაა დღეს. ბურჟუაზიის ბატონობას სრულიად არავითარ საფრთხეს არ უქადის არც ერთი ეს სოციალური რეფორმა, რატომ? იმიტომ რომ ამ გზით არ ირყევა მისი ეკონომიური მდგომარეობა: მისი შრომის და მოგების პრინციპი არ იცვლება სხვა მისი მოპირდაპირე ეკონომიური სისტემით. ყველა ეს ნაციონალიზაცია შედის კაპიტალისტურ სისტემაში. ექვემდებარება ყველა მის კანონებს, განსხვავება იქნება მხოლოდ რაოდენობითი ხასიათის, ერთი გუნდი კაპიტალისტებისა გამოვარდება წარმოებიდან და გადაიქცევა რანტიეთ, რამდენიმე ახალი შემოსავალი გაუჩნდება სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს არის და ეს.

ასეთი ნაციონალიზაცია კაპიტალიზმის პირველ პერიოდში შეარყევდა უეჭველათ თვით სისტემას, ვინაიდან ის იყო დაყრდნობილი, როგორც ვთქვით, სამრეწველო კაპიტალზე. დღეს კი მხოლოდ ფინანსიური კაპიტალის ნაციონალიზაციას შეუძლია შეარყიოს კაპიტალისტური რეჟიმი და გახსნას გზა

სოციალისტური ეკონომიკისაკენ. ვის ხელში დღეს სოციალური კაპიტალია, ვინც კრედიტს პატრონობს—ის ბატონობს მრეწველობაშიდაც. მთელ თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობაზე. ამ ძალის სახელმწიფოს ხელში გადასვლა შეუთავსებელია ბურჟუაზიის ბატონობასთან, ვინაიდან ეს იქნებოდა სოციალურ ძალთა განწყობილების შეცვლა მის წინააღმდეგ.

ამ ნაირათ, არის ორ გვარი ეტატიზმი—ბურჟუაზიული და ხალხური, პროლეტარული. ეს საბოლოოთ ძალთა განწყობილების საკითხია და არა წმინდა ეკონომიური. სიმდიდრის ნაციონალიზაცია კლასთა არსებული ურთიერთობის ნიადაგზე სოციალისტური ლოზუნგი არ არის; ის ფაშიზმის დოქტინის ერთი რგოლია. ბურჟუაზიის სუპრემატიის გამომხატველია, ამ ხაზზე დგას ეგრეთ წოდებული «პლანით წარმოება», რასაც ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ჰიტლერიზმი და მათი ამყოლ დამყოლნი დღეს ქადაგებენ. მხოლოდ პროლეტარული ეტატიზმი განირჩევა მათგან არსებითათ. ავლებს მკაცრ ხაზს ძველ და ახალ რეჟიმს შორის და დგას სოციალისტური გარდაქმნის ხაზზე.

მეტყვიან: ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ მოხდენილი ნაციონალიზაცია გახდება სოციალიზმის პირველი საფეხური როგორც კი ძალა-უფლებას დავიპყრობთო. ასეთივე უფლებით შეგვიძლია ეგევე ვთქვათ ყველა სხვა სახელმწიფოზე—ფაშისტურზე, მილიტარისტულზე, თავად-აზნაურულზე და სხ. ბოლოსდაბოლოს ყველაფერი ხალხს დარჩებაო. ჩვენ კი წინააღმდეგი ვართ ნაციონალიზაციის დესპოტიაში, ვინაიდან ეს იქნებოდა ამ დესპოტიის გამაგრება და იმ «ბოლოს და ბოლოს» შორს და შორს გადატყორცნა. ბურჟუაზიული ეტატიზმი მისაღები იყო ჩვენთვის სანამ გვეგონა, რომ ამ წყობილების მემკვიდრე უეჭველად სოციალური დემოკრატია იქნებოდა. მაგრამ ახლა ხომ გამოირკვა, რომ მისი მემ-

კვიდრე ყოვალგვარი დესპოტია უფრო ადვილათ ხდება, ვინემ პროლეტარული დემოკრატია და მაშასადამე ბურჟუაზიული სოციალიზაცია ხდება მათი გამაგრების გზა და ხიდი. თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია თან ატარებს ფაშისტურ სულს, რომელიც სოციალურ საფრთხის პირველ მოახლოვებისთანავე იფეთქებს. ფაშიზმი როგორც გაზვიადებული ეტატიზმი მისი კლასიური მისწრაფებაა. ეს ერთი იარაღია, ყველა ბურჟუაზიის სალაროში შემონახული, დიდი სოციალური კონფლიქტების ხანაში ასამუშავებლათ და თავის ბატონობის გადასარჩენათ.

რაკი ბურჟუაზიული სახელმწიფო როგორც თავისი ფორმით, ისე მისი შინაარსით, ეპირდაპირება ხალხურ, პროლეტარულ სახელმწიფოს, ცხადია ძალა-უფლების დაპყრობა დაჩაგრულთა მიერ არ ნიშნავს ამ აპარატებზე, ამ ფორმებზე და მის მუშაობის წესებზე დაყრდნობას. პარლამენტარიზმი, ინდივიდუალური საარჩევნო სისტემა, ხალხის და მართველობის ერთი მეორისაგან დაშორება უსაზღვრო ბიუროკრატიზმი, უზომო გადასახადები, მრავალ მილიარდიანი ბიუჯეტი—ერთი სიტყვით მთელი ფარხმალი თანამედროვე სახელმწიფოსი უნდა გადავიდეს ისტორიაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისთანავე და მათი ადგილი დაიჭიროს სახალხო სახელმწიფო აპარატებმა. წინაალმდეგ შემთხვევაში, ძალა-უფლების დაპყრობა იქნება პარლამენტარული თამაშის ერთი რგოლი, უბრალო სამინისტრო, რომელსაც დასცემს პირველსავე არჩევნებზე უკმაყოფილო ხალხი. ხალხური სახელმწიფოს ძირითადი ფორმა ჩვენ მოგვცა პარიზის კომუნამ.

აი რას ვკითხულობთ პარიზის კომუნის მიმართვაში ერისადმი:

«ცნობა და გამაგრება რესპუბლიკის, ამ ერთათ ერთი მართველობის ფორმის, შეთავსებული ხალხის

უფლებებთან და საზოგადოების თავისუფალ და რეგულიარულ განვითარებასან.

კომუნის სრული ავტონომია, გავრცელებული საფრანგეთის ყველა ადგილებზე. ის უზრუნველ ყოფს თვითეული ამ ადგილების მთელ უფლებებს და თვითეული ფრანგის სრულად ამუშავებას, ყველა მისი ნიჭის და შესაძლებლობის, როგორც ადამიანის, მოქალაქის და მშრომელის.

კომუნის ავტონომიას ექნება საზღვარი ასეთივე ავტონომია სხვა კომუნების, რომელნიც ემხრობიან ხელშეკრულობას და რომელთა ასოციაცია უზრუნველ ყოფს საფრანგეთის მთლიანობას.

კომუნის მიუცილებელი უფლებებია:

კომუნალური ბიუჯეტის, შემოსავალ-გასავლის, მიღება; გადასახადთა დაწესება და განაწილება; მართველობა ადგილობრივ დაწესებულებათა; სასამართლოს, შინაური პოლიციის და სწავლა-განათლების ორგანიზაცია; კომუნის ქონების გამგებლობა.

დანიშვნა არჩევანით ან კონკურსით პასუხის მგებლობის ქვეშ და მუდმივი კონტროლის და გამოცვლის უფლებით კომუნის ყველა მოსამსახურე პირთა ანუ მოხელეთა.

სრული თავისუფლება პიროვნების, სვინიდისის და შრომის. მოქალაქეთა მუდმივი ჩარევა კომუნის საქმეებში, მათი აზრის თავისუფალი გამოთქმით, მათი ინტერესების თავისუფალი დაცვით. ამ თავისუფლების გარანტიას იძლევა კომუნა, რომელიც ყურს უგდებს და უზრუნველყოფს თავისუფალ და სამართლიან უფლებას კრების და სიტყვის.

ორგანიზაცია ადგილობრივი დაცვის და ნაციონალური გვარდიის, რომელიც თვით ირჩევს თავის უფროსთ და იცავს წესიერებას კომუნაში.

პარიზი არ ითხოვს არავითარ სხვა უფლებას, გარდა ამავე პრინციპების განხორციელებისა, ერთათ ერთი პირობით, რომ ამ დიდ საადმინისტრაციო

ცენტრში თავს იყრიდეს კომუნათა ფედერაციის დელეგაცია...

მთლიანობა, რომელიც დღემდის თავს მოგვახვია იმპერიამ, მონარქიამ და პარლამენტარიზმმა არის მთლიანობა დესპოტიური, უგუნური, თვითნებითი და საზარალო.

პოლიტიკური მთლიანობა, რასაც პარიზი ითხოვს—ეს არის თავისუფალი შეერთება ყველა ადგილობრივი ინიციატივის, ყველა პიროვნულ ენერგიათა თავისუფალი დახმარება საერთო მიზნით, ყველას კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

ეს არის დასასრული ძველი ქვეყნის, ქვეყნის მთავრობების და ხუცების, მილიტარიზმის, ბიუროკრატიზმის, ექსპლოატაციის, აქციოტაჟის, მონოპოლიების და პრივილეგიების, რომელთა მეოხებით ხდება პროლეტარიატის დაყმობა და სამშობლოს განადგურება და უბედურობა» *).

მოკლეთ, სახელმწიფო არც ბურჟუაზიული, არც ბოლშევიკური, პირიქით, ის უნდა იყოს დემოკრატიული, ხალხური. «შეხედეთ კომუნას, აი პროლეტარიატის დიქტატურა», სწერდა ენკელსი.

ცხადია, ვანდერველდე მართალია, «სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგია...»

---

*) იხ. Journal Officiel de la Commune, 20 აპრილი, 1871 წ.

სახელმწიფო ასპარეზზე დღეს გამართული პოლიტიკური ჭიდილი არის უმთავრესათ ბრძოლა არა რეფორმების, არამედ ძალაუფლების გარეშემო. დღეს ყველა გაბატონებული კლასი თუ პარტია რეფორმებზე გაკივის, ყველა რეფორმატორია, ოღონდ ძალაუფლება კი მას შერჩეს. ხალხი დარწმუნებულია, რომ რეფორმიზმით მის ტკივილებს ბოლო არ მოეღება; მას ეკივრება რადიკალური. ქირურგიული სოციალური ოპერაცია. ამ პერსპექტივებით შეშინებული ბურჟუაზია თვით აკეთებს პოლიტიკურ დივერსიას და სხვადასხვა სახით ხალხურ რადიკალიზმს ეპოტინება. მიმდინარე ისტორიული პერიოდის ძირითადი საკითხია არა რეფორმები, არამედ ძალაუფლება: ვისაც ის დარჩება და სახოგადოებას დაიმორჩილებს —სახელმწიფო მისი სახის და ინტერესების დაგვარათ აეწყობა. ტრადიციული ბურჟუაზიული სახელმწიფო კრიზისშია, მან დრო მოკამა. ის აღარ შეეფერება ახალ საზოგადოებას. მას ორი გზა აქვს—უკან, დესპოტიისაკენ, წინ პროლეტარულ-ხალხური დემოკრატიისაკენ. ყველა შუა გზაზე გაჩერებულნი განწირულია. ამ პრობლემასან სამ პოლიტიკურ ბანაკს, რომლითაც დაყოფილია საზოგადოება, სხვა და სხვა დამოკიდებულება აქვს. ყველა ფერის ანტიდემოკრატიული ბანაკი გაერთიანებულია ბურჟუაზიული დემოკრატიზმის უარის ყოფით და ყოველნაირი საშუალებით დესპოტიის დამყარებით. აქ იბრძვიან დიდის ენერგიით ძალაუფლების, მთელი ძალაუფლების, ხელში ჩასაგდებათ. მეორე ბანაკი ბურჟუაზიული დემოკრატია პარალიჩშია, შეპყრობილი ძველი ფორმულებით, უძლური გაიგოს ახალი საზოგადოება და გამონახოს წამალი გარეშე თავისი დაძველებული კარაბადინისა. ის იბეკნება ერთ ალაგას და იძულებულია საამდროვო საკითხებს უპასუხოს დაუსრულებელი სიტყვებით. მესამე ბანაკი—პროლეტარული და სოციალისტური დემოკრატია იხ-

ლიჩება ორ ტენდენციას შორის: ერთი ფრთა იმყოფება ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენის ქვეშ, ხოლო მეორე ფრთა ენათესავება ბოლშევიზმს და «რუსეთის რევოლიუციისათვის მხარის დაპერის» სახელით ამაგრებს საბჭოთა უსაშინელეს დესპოტიას. არსებითათ ორივე მიდრეკილების შედეგი ერთი და იგივეა—მშრომელთა მასის დაშლა და მათი გადასროლა სხვადასხვა მოპირდაპირე ბანაკებში. ირღვევა რა ამ გზით პროლეტარიატის მთლიანობა, ირღვევა ამ კლასის კავშირი ბოლშევიზმით დაშინებულ ხალხის ფართე მასებთან. სოციალისტური არმია დგას აქტიური მტრის წინაშე, დაუძლურებული და აქტივობას მოკლებული.

სოც. ინტერნაციონალის მიერ სადისკუსიოთ დასმული ტაქტიკური საკითხი უნდა დასრულდეს მისი რიგების პირველ ყოვლისა იდეიურათ გამთელებით. ხაზი ამ გამთელებისა ერთია—გამოშორება როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის, ისე ბოლშევიკური დესპოტიისაგან და მტკიცეთ, საბოლოოთ შედგომა პროლეტარულ-ხალხურ დემოკრატიის გზაზე.

ნოემბერი, 1932.

Imprimerie " *La Gazette de Seine-et-Oise* "